

# ცხოვერება

ორკვირული სამეცნიერო, სა-  
ლიტერატურო და საკოლიტიკო  
ჟურნალი.

### ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ზღვის გოგონა, ლექსი, ობოლი მუშისა.
2. „პრივარის ღვდელი,“ შემდეგი, მე-  
ლანიასი
3. ქართველს გული ლექსი, მინა რაქვე-  
ლისა.
4. უფსკრულში პოვეს ნეტარება, დია ჩი-  
ანელისა.
5. ლტოლვა, ლექსი, ი. სიხარულიძისა.
6. ზამთარი კვლავ დათარეშობს, ლექსი,  
გორგისა.
7. ერთ ვინმეს, ლექსი, ა. ხაბუღიანისა.
8. გაზაფხულის რითმები, ლექსი, თაგუ-  
ნასი.
9. ბძოლის ველზე მყოფ ქართველ გმი-  
რებს, ობოლი მწყემსისა.
10. სიმღერა, ლექსი, გ. ლადოშვილისა.
11. მოგონება, ლექსი, კ. მიმქრალისა.
12. ჩემ სატრფოს, ლექსი ტანჯული ქა-  
ლისა.
13. ილია ჭავჭავიძე და ივანე მაჩაბელი,  
ლ. ბახტაძისა.
14. უკანონო დედა, დასასრული, ობოლი  
მუშისა.
15. საღვთისო, ერობა, ხომლეღისა.
16. ფუტურიზმი და მეცნიერება, ვასილ  
წერეთლისა.
17. წერილი რედაქციის მიმართ გ. თუ-  
მანიშვილისა.
18. უპატრონო აქარა, „სტორონი“სა.
19. რედაქციისგან.

15 მარტი.

1916 წ.

ა უ თ ა ი ს ი

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# „**სსოპრეზა-ზე**“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვითურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, ქიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიისში—მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამყრელიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

# „**მეზოზარი**“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.. სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს—2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტყნონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად

**გ. მაიაშვილის** ნაწერების კრებულს.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიცენაზურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## ზღვის გოგონა

ვერ გაუძელ ღამის სევდას, შავ ფიქრების ზღვათ მღელვარეს,  
თვალნი ცრემლში ბანაობდენ, თიოქო ვკვრეტდი ბნელ სამარეს, —  
მივატოვე ჩემი ბინა, მივაშურე ზღვას მჩქეფარეს.

ავადევენ სევდით თვალი, თვარის შუქში მონარნარეს.

მოლივლივე ზღვის ფირუზ მკერდს, მოფენოდა სხივთა ზოლი;

ფთა გაშლილი ნავარდობდა სიო, სივრცით მონაქროლი.

სული ზედა ტანჯვის რიდეს, სწადდა ცაში ფთა-შლით ფრენა;

გულს-კი სევდის ცეცხლით სწვავედა მანქანების ოხერა ქმენა...

უცებ, ტალღა ატივტივდა, შეხფათ იქცა, იწყო ჩქერა,

ამოცურდა ზღვის გოგონა, მოელვარე, ვით ვენერა;

ცემციმებდა სხივ — პოქსანი, თვალსა ჭრიდა მისი მზერა;

ციურ ჰანგათ აწყრილდა მისი სიტყვა, მისი მღერა:

„ — მე ვარ ტანჯულ დედის შვილი, ზღვის წიაღში ჩაპარბული,

ჩემის ნატვრით გულ-მწუხარეს გადმოსჩქებს ცრემლთ ნაკადული.

მეც ამ ზღვაში ველარ ვდგები, მისკენ ილტვის ნორჩი გული;

მარა, რაექნა, რო ძალარმიძს: ზღვის ტალღით ვარ შეჯაქვეული...

სულის დეღვით ვუცდი გრიგალს, სტიქიონით ფთა შენასხამს:

ის დაამსხვრევს ბორკილებსა, დაფლეთს ღამის წამოსასხამს,

აიზიდავს ცამდი ტალღებს, აბობოქრებს, ამთა — გორებს,

ხავს — მოდებულ კლდეს შეანგრევს, მთასა და ბარს გაასწორებს,

გადამაფრენს, სადაც დედა მწარეთ მოთქვამს, ცრემლათ დნება,

სიხარულის ვარდს მივუძღვნი, ჩაგეკვრები, ჩამეკვრება...

და, შეწყდება მწარე კენესა, გაიხარებს დაჩაგრული,

შეების წყაროთ იჩუხჩუხებს მიწის მკერდზე სიყვარული...

შრომის შვილი, ვით არწივი, ცის ლაქვარდში ინავარდებს, —

ამბორს უყოფს სხივთ-ფუჩქენილ განთიადის ყუქნობ ვარდებს.

„ განერიდე, ძმაო, დარდებს“

მიიმალა ზღვის გოგონა... სიღრმე ზღვისა ვგალობ, ნთქავდა...

განთიადის მოლოდინში, სული ნაზ — ტკბილ ლოცვას თხზავდა...

ობოლი მუშა.

„პრიზაპარის ღვდელი“\*)

(ამბავი.)

IX

ღამეა. ფეხის ხმა მიწყდა. სოფელ გვემ-  
ულის ღუქანში, ცალკე ოთახში, სხედან ყასუმა,  
ოსიკო, შაქრუა და ღვდელი მაქსიმე. „დრო  
მოკლათ ხელათა და ვატროთ სავეს ხელადა“,  
იძახოდა შაქრუა, როცა მედუქნე დადგამდა ხოლმე  
სუფრაზე ახლად მოტანილ ღვინით სავეს ხელა-  
დას. აქ შეიკრიბენ ეს მოღვაწენი, უკვე და-  
წყობილი სასოფლო საქმის დასაბოლოოვებლათ.  
„ღვინით ყელ გასველებულნი უფრო კარგათ  
მოვილაპარაკებთ საქმეზედო“.

ყველანი კარგათ იყვენ შეხარხოშებულნი.  
სადღეგძელოები გამოვლიათ, ღვინის სმა-კი  
ჯერ არ გაეთავებინათ. უთუოდ, თავი უნდა  
გამოეჩინა, თორე არც ტოლუმბაში იყო და  
არც უთხოვნი ვისმე, ოსიკომ აიღო ჭიქა ხე-  
ლში და თქვა: ამანაგებო, ეს ღმერთმა  
ადღეგძელოს ჩვენი მამა და კეთილის მყოფე-  
ლი მაქსი!

— შე ვირის თავო, შენა, რაგებსა ჰქმანავ?  
უთხრა შაქრუამ. — ჯერ ერთი ესა, რო მარქსია  
და არა მაქსი; მეორეც ისა, რო, რათა ხანია  
მარქსი საიქოდან ხელს გიქნევს, მოდი, მომე-  
შველე, თორე უშენოთ ფედერალისტებმა გა-  
მწევესო. მესამეც ისა, რო საიღამ გამოჰნახე  
ღმერთი, რომ იმას მარქსისთვის სიცოცხლესა  
თხოვ? ერთი ხარებას მაინც ასწავლე, სად არი  
ღმერთი, თორე თვითონ ხო ვერ მიუგნია  
და ვერ შიგნებს თავის ღღეში, იქნება, ახლა  
ღმერთის საპოვნელაში დაგვაპატიყოს ხვალ. —  
ერთი მითხარ, თუ-კი შენი ღმერთი გიყვარს,  
მამაო ხარებ, მიუბრუნდა შაქრუა მაქსიმე  
ღვდელს, — მართლმ ვაკურთხეს, თუ მკვდარი  
ღვდელი ვაცარცვე სადმე და იმისი ანაფორა  
ჩაიცი და ატყუებ ხალხს?

— ატყუებს კი არა, — ჭორია! დაუმატა  
გახარებულმა ოსიკომ, რათგანც იმისკენ  
მიმართული დაცინვა მაქსიმე ღვდელზე

გადავიდა. — ნაკურთხი იყოს, არ იყოს! შენ ის  
გაშინჯე, თავში უყრია რამე, თუ არა?

— განა არა, შენ-კი გამძიმებს დიდი ჭკვი-  
სგან თავი! მიუგო ხარება ღვდელმა.

— არც გამძიმებს და არც ღვდლობასა  
ჩემობ!

— სოციალ-დემოკრატიობას ხო ჩემობ?  
არც-კი იცი, მარქსი ცოცხალია, თუ მკვდარი  
და მისი სახელით-კი სოციალ-დემოკრატიობ  
და უქადაგებ ხალხს.

— უქადაგებს, მე ვიცი, რამიშვილობა-კი  
არ გასწიოს! ჩაერია ისევ შაქრუა.

— რა ჩემ ფეხებათ მინდა, რო რამიშვილობა  
გავსწიო, თუნდაც შემეძლოს რამიშვილობა?  
მე ფეხებზე მკილია პროლეტარიაცა და ბურჟუაზი-  
აც! პროლეტარია ბურჟუაზია ჩემი სურვილია  
და ქეიფი და, თუ სოციალ-დემოკრატიობას ვჩე-  
მულობ, მხოლოდ ჩემი ჭიის გასახარებლათ და სა-  
სიამოვნებლად. დღეს სოციალ-დემოკრატია არი  
ჩემთვის უფრო სასარგებლო, ხვალ ფედერალისტი  
გავხდები, თუ ჩემთვის ის უფრო სასარგებლო  
იქნება. მე დროს და გარემოების ბატონი ვარ  
და თქვენ, რაც გინდათ, ის დამიძახეთ. — შენ,  
ვი, მამაო ხარებ, ყურები გამოიბერტყე კარგად!  
ეს დრო რომ არ შეგვსწრობოდა, ჩვენ ეს სა-  
მნი, და შენც მეოთხე, ეხლა აქ ვისხდებოდით?  
ან ციმბირში უნდა გვეთხარა თავგებივით სოროები  
ან ტყესა და ღრეში ვხეტიალებულიყავით ნადირე-  
ბივით. ხისა და კლდის ამოფარებას, არა სჯობდა,  
რო სოციალ-დემოკრატის ამოფარებოდათ?  
და ახლა, როგორ დაგვეფარა იმ დალოცვილმა! —  
სოფლის ბატონ-პატრონებათ, ხემწიფეებათ  
გვაქცივა. და, აბა, თუ არ შენსავით გიფი და  
სულელი არა, ჭკვიანი კაცი გაუშვებდა ხელიდან  
ამისთანა შემთხვევას?

— თქვენ-კი ჰო, მაგრამ მე რა მჭირდა  
საციმბირო, ან ტყე-ღრეში სახეტიალო?

— ჰაი, ვიდი, ჰა! შენა გგონია, ვერავინ  
გიცნობს? ი ოსებს რო სულზე თვრამეტ-თვრა-  
მეტი შაური დაჭყუე, სახელმწიფო მიწებს მო-  
ვაცემინებ თქვენთვისო, შენა გგონია, ისე ჩაი-  
ლიდა, ეს დრო რომ არ იყოს?

— მაშ, გარგი და შენც სუ და მეც სუ!

\*) იხ „სხორება“, № 5.

— ყველა — ყველა, მაგრამ იმ მა...ე ღვდღე-  
ლობა როგორ მოგცეს? მიმართა ისევ შაქ-  
რულამ. — მე, სწორედ გითხრა, ორ დავარდნილ  
ვირსაც არ მოგაბარებდი! იმათ-კი მთელი სო-  
ფელი მოგაბარეს!

— კარგია, ამხანაგებო, დაანებეთ თავი  
აყლო-მაყალს, რა დროს მაგისტანების ლაპარა-  
კია? ჩაერთა საუბარში ყასუმა, რომელიც აქა-  
მდი გაწუმებული ყურს უგდებდა სხვების  
ბაასს. — ჰახირ საქმეზე ვილაპარაკოთ? ეს კაცი  
სახეუბრად და გასაბიბროგებრლათ-კი არ მო-  
სულა, — საქმისთვის მოვიდა! გაეგება რაღე თავის  
თანამდებობისა, თუ არა, ეგ თვითონ იცის და  
იმათ, ვინც ღვდღობა მისცა. ეგ ჩვენნი საქმე  
არ არი. ჩვენი საქმეა მოუხებრხოთ, როგორმე,  
ამ კაცს ჩვენ სოფელში გადმოსვლა.

— ფულების საქმე არ არი! წამოიძახა შაქ-  
რულამ. დახარჯავს ბლომად, კიდევ გადმოვი-  
ყვანთ; არ დახარჯავს და ისევ იქა ბძანდებო-  
დეს, საიღამაც მოსულა.

— დახარჯვა რომ არ მინდოდეს, არც ხმას  
ამოვიღებდი. ვინ არ იცის, რომ ეხლა უფუ-  
ლოთ აღარაფერი კეთდება და, მერე, ამისთანა  
საქმე.

— ერთი მოთხარ, იქიღამ, რათ გაგდებენ?  
კითხა ოსიკომ.

— არ მაგდებენ კია, თვითონ მინდა წა-  
მოსვლა.

— არა, მე გავიგე, პატარძლებზე მოატანეს,  
ერთი კარგათ დაჟეჟეს და იმისთვის გამორბის  
პრიხოდინაო.

— შენ კიდევ სულ პატარძლების მკვალნი  
გადგა! რით ვერ დაივიწყე ე პატარძლები?

— გემო იმათშია და კაცმა რომ ისინი  
დაივიწყოს, რალა უნდა ახსოვდეს?

— კარგია, კაცო, დაანებეთ თავი მაგ უბრა-  
ლო ლაპარაკს, ჯერ საქმეზე ვილაპარაკოთ და  
ვიფიქროთ და, მერე, რაზედაც გინდათ ილა-  
პარაკეთ, თქვა ისევ ყასუმამ. — ეს კაცი  
ათ თუმანს იძლევა ჩვენ გასამჯელოს, — რას  
იტყვიო?

— მე იმას იტყვი, წარმოთქვა შაქრულამ,  
რომ ათი თუმანი ძლიერ ცოტაა. კაცის თავ-

ზე ხუთ-ხუთი თუმანი მაინც აღარ უნდა მო-  
გვცეს? ამაზე ცოტა როგორღა იქნება.

— ხუთმეტი თუმანი იმათთვისაც არ მიმი-  
ცია, ვინც ღვდღობა მოაცემინა ჩემთვის და  
ღმერთი არარი, რომ თქვენ ეხლა მეტი გამო-  
მართვათ?

— შენ ღმერთს ტყუილად ეჭიდები, ის  
შენ ვერაფერს გიშველის. თუ გიშველის, ისევ  
ხუთმეტი თუმანი, დათვალე, ღვდღელო, ხუთ-  
მეტი თუმანი? ხუთმეტი თუმანი ცოტაც არის  
ამ საქმის გაკეთებისთვის. თუ არა და ვერ ინე-  
ბებ აქ გადმოვიღას.

— შენა გგონია ძლიერ სახარბიელოა ე  
თქვენი გვეშულის სამრეველო? მე ჯიბრის კაცი  
ვარ, მინდა რომ მაგ ღვდღელს კუდი ამოვადქუ-  
ბინო აქედამ, რათგანც ჯავრი შქირს მაგისი  
და სამაგიეროს გადახდა მინდა, თორე მე ახლა  
უკეთესი პრიხოდი მიქირავს.

ჰო და, აბა, კიდევ ეგ არი ძნელი საქმე!  
თუ ცოტას დაგჯერდენ ისინი, ვინც პირვე-  
ლად მოაცემინა შენთვის ღვდღობა, იმათ გა-  
საკეთებელიც ცოტაჰქონდათ. იმათ მოგიტხო-  
ვეს ცალიერ აღვიღზე, რაც აღვილად გასა-  
კეთებელი და მოსახერხებელი საქმე იყო. ჩვენ-  
კი ორნაირი ჯაფა გვიძევს წინ: ჯერ უნდა  
დავატალიეროთ აღვილი: ახლანდელი ღვდღელი  
უნდა ავბარგოთ აქედამ. ეს ერთი საქმე; მერე,  
უნდა მოგიტხოვოთ შენ — ესეც მეორე. ორი  
განაჩენი უნდა შევედგეინოთ სოფელოს. მომეტე-  
ბული ჯაფაა ეს, თუ არა? თუ ჯაფაა, უნდა  
დაკმაყოფილება ამ ჯაფას, თუ არა? იქ სადაც  
წინად მოგიტხოვეს ღვდღათ, მარტო ერთხელ  
დასქირდათ განაჩენის შედგენა. იქ, თუ ათი  
თუმანი დაგაძრეს, აქ ოცი თუმანი უნდა გა-  
დაიხადო. მარამ ხუთ თუმანს გხათრობთ, შენი  
ფეშქაში იყოს ხუთი თუმანი; მხოლოთ ხუთ-  
მეტ თუმანსა გთხოვოთ, ოცის მაგიერ, — რას  
იტყვი.

— რას ამბობ, კაცო, მაგოდენა ფული  
ვინ მომცა?

— მაშ, რა უყავი ოსებიღამ აღებული  
ფული? ასი თუმანი დააძრე ოსებს და ფული  
ვინ მოგცა!

—ასი თუმანი-კი არა, ათასი! სულ რაც და თექვსმეტი თუმანი მოვავროვე და ისიც მთლად ღვდლობის შოვნაში დამეხარჯა. შენი მტერი, რომ არ მომეხერხებინა ამ ფულების შოვნა! საიღამ და რით ჩავიდებდი ხელში ღვდლობას, თუ ეს ფული არ შემსწრებოდა?

— ეხლა კიდევ სხვა რამ მოახერხე და ჩვენთვის იშოვნე! — არა, ხუთმეტი თუმანი ძვირაა. ახლანდელ პრიზოდში განწესებულებას სრულად და უნაკლულად ვიღებ, როგორც უწინ ყოფილა. აქ-კი, როგორც ყასუმა მიღებს პირობას, უნდა ნაკლებს დავჯერდე მრველყოველიფერში და, აბა, საიღამ და, ან როდი სდა ავინაზლაურებ ამ ხუთმეტ თუმანს?

— ეჰ, შენც ქათამივით ორი ფეხი გაბია! პირობის დადება სხვა არი და ასრულება მისი კიდევ სხვაა. შენი პირობა ახლა არი საჭირო, რო სოფელს თვალეზი აუბათ და ავუზვიოთ; დავარწმუნოთ ყველანი, რომ შენი გადმოსვლით სოფელს შეღავათი ექნება და ვაკისრებინოთ ახლანდელი ღვდლის გაძევება. აი, რისთვის არი საჭირო შენი პირობა. რაკი გადმოხვალ და ფეხს ჩაჰდგამ პრიზოდში, შენი ნება და ჩვენი ნება არ არი? საითაც გვინდა, თავს იქით ვუზამთ სოფელს.

— თუ მაკ პირობას მომცემთ, რომ, ერთი წელიწადი-კი ჰო, საცა უნდა იყოს, მეორეწლიდამ შემძლება ადგება ყოველ გვარი განწესებულებისა სრულიად, უნაკლულად, ბატონი ბძანდებით, ხუთმეტ თუმანზე თანახმა ვარ.

— აბა, მაშ, მოიტა ხელი და ხელადა სეელი!

— დახეთ ამ დასაქცევს, როგორ ამტრევს ამ ღეჭსებს! ვნახოთ, თუ შენ მოლექსეთ არ გამოჰდგე? უთხრა შაქრუას ოსიკომ.

— იქნება ღვდლობადაც ვაგხდე! შენ რა გგონია? დამაცა, ჯერ დავბრუნდე ისევ ქალაქში!

— განა აპირობ ისევ ქალაქში? კითხა მაქსიმემ.

— საქმე არა გაქვს! რა წაიყვანს ქალაქში? გიფი ქორწილში შევიდა, ჩემ სახლს ესა ჰჯო-

ბიაო. თუ წავიდა და ღვდლობა დაიწყო, მე ვიცი, ისეთ რამეს-კი დასწერავს, რომ ქვას გაარღვევს, მიუგო ოსიკომ.

— ქვასაც გავარღვევ და ამ ხარებასაც ტყავს გავაძრობ, თუ ჩვენი ყურ მოქრილი მონა არ გახდება.

— მართლა და, მამაო ხარებ, შაქრუა არა ტყუის, რომ ხუთმეტი თუმანიც ცოტა არისო, უთხრა ყასუმამ. ხომ იცი, რომ მამასახლისსაც გული უნდა დავედოთ, თორე უამილოდ მხარს არ მოგებათ.

— კაცო, აქ არ ვიქნები. ხომ არსად გავიქცევი. განა სხვანაირად ვერ გადავიხდით კიდევ რა? მხოლოდ ერთი ჩემი წადილი შემასრულებინეთ.

ასე გაათავეს სასოფლო საქმეზე მოლაპარაკება.

(შემდეგი იქნება.)

მელანია.

## ქართველის გული.

როცა უჩინარ ფთებით ცის მკერდზე ვიქ კამარას, და ჩამოვრეკ წკრილით სულის შესაკრებ ზარას, —

მაშინ დიქსაქსება ბნელი ბოროტებანი; ცის ნუქ მკერდზე იჩქეფებს წყარო უკვდავებანი.

ცრემლის ზღვაც შეირყევა, შვებით ამოიქმინებს; საოცნებო იმედი ღვდობით გამოიბწყინებს.

სულის ტაძარს ეფრქევა მზის თრთოლვარე სხივები, ვარსკვლავით ნაკეთ გუმბათს ქარგავს, ვითა მძივები.

გალობენ ანგელოზნი, კრიალა სულთა კრება; საკაცობრიო ტრაპეზს აშუქებს ნეტარება.

ჩემ სულშიაც იფეთქებს  
იმედის მკვეთრი ძალა;  
მინდა გავაცამტვერო  
შხამით სავსე ფიალა.

მარა, რო შევირბნევი,  
მინდა ფთები გავშალო,  
კაეშნის შავი დალი  
გულის წიაღს წავშალო, —

ამდროს, სევდის ნიაფი,  
მიწიდან მონაბერი,  
ყურს ჩამწივა: „ნუ ხარობ!..  
არა ხარ ბედნიერი!..“

გულში არ ჩაიფერფლო  
იმედის მკვეთრი ძალა,  
და, არც გავაცამტვერო,  
შხამით სავსე ფიალა...

ის სამშობლოს ხვედრია  
და შენც მარად ატარე,  
მანამ ის სვამს, შენცა სვი  
მისი ფიალა მწარე!..

დაიკვნესოს, იკვნესე,  
კრემლის დროს, კრემლი ღვარე,  
შენც შენს მშობლებთან ერთად,  
გათხზარე სამარე“...

ამის შემდეგ, მწარდება  
გულში ის ტკბილი წამი,  
და ხელ მარჯვეთ მიკარავს  
სამშობლოს ხვედრი შხამი...

ფთებ დაჭრილი გავცქერი  
ცხოვრებისა ზღვაზედა,  
ნაკადულებ გადმოჩქებს  
ცხელი კრემლი თვალზედა...

ვხედავ! სისხლის ტალღებში  
დაცურავს ქართლის გული,  
წყლულის მაღამოსა მთხოვეს,  
მტრის შუბით გაბასრული...

მინდა, რო მივეშველო,  
და წყლული შევუხვიო.  
ან ჩემი სისხლიც მასზე  
წვეთ-წვეთად დავანთხო...

მარა!.. შავ-ფთებ გაშლილი  
მელობება ორგული!

შვილს-კი დედა მიყვის,  
მტრისგან გაწამებული...

მინა რაჭველი.

## უფსკრულში ზოვეს ნეტა- რება.

— გიო, გიო, ბიჭო, ეგრე რათ ჩაფიქრებულხარ?  
რათ? აბა, შენი ბადე რათ კიღია უქმთ ოდის  
სვეტზე. ღვთის მადლმა, ცოდვას ისეთი სრავის  
უქმთ გაჩერება. გიო, გიო, ჰა, ბიჭო! მეორეთ  
ჩასძახა ვერხვის ძირას მჯდომს გიოს ამხანაგმა.

გიომ ხმა არ ვასცა.. ღრმით ამოიოხრა და  
ამხანაგს შეხედა...

— გიო, წავიდეთ ამელამ საბადაოთ, ნუ  
მეტყვი უარს. რა წვერა\*) დავიჭირე წუხელი,  
რა წვერა, სულ გოჭივით იქყვირა ბადეში!! მა-  
რა, გიო, უშენოთ სიარული არ შემიძლია,  
ღვთის მადლმა, არ შემიძლია.. წამოდი, ჩემო,  
წამოდი. წამოდი, თორე ვერ ვივლი..

— და ნუ იარ. მოღუშულათ მიუგო გიომ  
და უზარმაზარ კლდეს მიაშტერდა, რომლის  
ძირას ნელა იკლანებოდა მთის მდინარე..

— გიო, აბა, არა გცხვენია, ეგ არის ამხა-  
ნაგობა, რავა დაანებე ბადაობას თავი.. რათ  
არ მეტყვი, ჩვენ ხო მეგობრები ვართ? მითხარი..

— ეხ, ნიკო, ნიკო... და გიომ ხელი და-  
უჭირა ნიკოს.. მე აწი თევზს ველარ დავიჭერ.  
ჩემი ბადე აღარ შეისრიალებს მორევში.. არა.  
არა, გიო, ამის გული აღარა მაქვს.. გახსოვეს,  
როგორ გვიხაროდა ზაფხულის მოსვლა, რო-  
გორ გულის ფანცქალით ველოდით გამოცთე-  
ბის გათავებას გიმნაზიაში, რომ ახალი ბადეები  
დაგვეკერა და თევზაობა დაგვეწყო.. ნიკო, ხო  
გახსოვეს, რა სიხარულით დაჩერებოდით კლდი-  
დან მოელვარე წვერა-ტობებს... ხო გახსოვეს?  
ის იყო ჩვენი სიხარული. ჰო, ბადეში, რო  
წვერა დაიწყებდა ხვანთქალს, ის იყო ჩვენი  
სიამე.. ახლა-კი-მე, ნიკო, ესენი აღარ მახარებს,  
არა.. მე მივხვდი, რომ არის უფრო დიდი სიხა-

\*) ქართლში მურწას ეძახიან.

რული, უფრო დიდი ნეტარება და ამან მომიშხამა გული.. ამან, ნიკო..

—ნუ სულელობ, გიო, ნუ!! შიგნხედი.. ეგებ, წყლის ქალი შეგიყვარდა?! ფახალათ გიო, თორე სესიკასავით მოგივა, ხო გახსოვს თქმულება, ბაბუა სესიკა, როგორ შეყვარებია წყლის ქალს და შერეკი, დაეხრო...

—როგორ?!

—ჰო, როცა სესიკას ბადე ესროლა, ის წყეული შიგ გაბმულიყო, სესიკა გადაეთრია მორევეში და მეორე დღეს სესიკა ბადეში გახვეული დამრჩეალი ნახეს..

—ჰო, რა ბედნიერი ყოფილა.. რა ბედნიერი.. აი, ნიკო, სესიკა, ალბათ, სიყვარულით გაბნედილი გადაეცა წყლის ქალს და ნეტარებით დაიბრჩო..

—შენ იქე ლაპარაკობ, რომ რაღაც, კარგი არც შენ თავზეა.. მაგას ვეტყვი ლენას..

—ეს, მოგცლია, მოგცლია, მიახალა გიომ.. ეს, ნეტავი, სესიკას! წამოიძახა მან და მდინარეს მიაშტერდა...

II

მთის ფერდობზე, პაწა აგარაკზე კისკისი გაისმოდა... სევდიანი კისკისი, რომელიც მზის სხივთა თაიგულში ეწნოდა და მდინარის რიკრიკს გულში ეკვროდა.

—აიკო, რას კისკისებ ვგრე?! შენიშნა მეორემ.

—ვარდო, აბა, რათ არ უნდა ვიკისკისო არ მეყოფა ჩემი სევდა?! მე მიხარია, მიხარია რაღაც და ვიკისკისებ.. ვიკისკისებ და გულში ვიკრავ შენეიერ მზის სხივებს.. ჰა, ვარდო.. მე ხო ჯერ სულ ნორჩი ვარ, თექვსმეტი წლისა. მე ვიცი, რომ ლამაზი ვარ... და, სანამ ვიცოცხლებ, ჩემს სილამაზეს ბუნებას გავუნაწილებ.. გავუნაწილებ და მე მისი გავხდები.. ჰო, რა მინდა სიცოცხლე, სიცოცხლე... რა მინდა!! არა, არა, მოვრჩები. მე კლექი ვერას მიხაშს. ვერა.. ვადიკისკისა.. ჰო, მართლა, ვარდო, ამას წინათ მდინარის პირას ერთი მებადური ვნახე. რა კარგი იყო.. ღირნით ისროდა ბადეს.. თევზი მაჩუქა.. დიდი თევზი, რომელიც მე მაშინვე გავუშვი... მას აქით ვნახე

კიდევ.. სევდიანი მომშტერებოდა.. გიმნაზიე ლია.. მერე, აღარ მინახავს.. მდინარის პირას ხშირათ დავიარები, მარა ვერ შევხვდი.. ეს თქვა აიკომ და ჩაფიქრდა.. ნელა დახარა შავი წამწამები და ნელა ჩაახველა..

—ნეტავი, ნეტავი.. კიდევ ვნახავდე.. ნეტავი, ჩაილაპარაკა აიკომ და ნელი ხტუნაობით მდინარისკენ დაეშვა..

III

აიკო და გიო ერთმანეთს შეხვდნენ... შეხვდნენ და დამეგობრდნენ..

გიო გაცოცხლდა. მან ნახა ის, რასაც მისი სული ეძებდა.. იპოვნა და სიხარულით გასჩერებოდა მთა-კორდს... კოცნიდა ხეებს, გულში იკრავდა ყველაფერს..

—აიკო, აიკო.. იმეორებდა ლოცვით გიოს ტუჩები ასულის სახელს და ღიღინებდა...

IV

მარა.. სიხარულის ლოცვა დასრულდა მაშინ, როცა აიკომ გიოს თავის ავათმყოფობა გააცნო.. შესწყდა სიხარულის ლოცვა და სევდამ მოიცვა გიო.. კვლავ დაღვრემილი დაიარება იგი.. კვლავ.. მან იპოვა ბედნიერება, მარა უცებ ხელიდან გაუხსლტდა. აიკო, ია გამოდგა, რომელიც მალე დაიბრებოდა და სამუდამოთ დაჰკნებოდა..

V

აიკო, აიკო, ჩემო კარგო, ჩააშტერდა თვალეებში სატრფოს-აბა, გადხედე ამ კლდიდან ძირს: ხედავ მებადურს. რა სიხარულით ღიღინებს?! გახსოვს, მეც ისე უღარდელი ვიყავი, ისე ვღიღინებდი, სანამ შენ არ გნახე. გნახე შენ და... ჩემი ღიღინიც შეწყდა..

—აიკო, აიკო, ჩვენ ერთმანეთისთვის უნდა ვიცოცხლოთ.. უნდა..

—ვერა, ვერ ვიცოცხლებთ.. ნადვლიანათ წარმოთქვა აიკომ და მდინარეს ჩააშტერდა...

—გიო, რატომ შენც იმ მებადურივით არა ღიღინებ.. განა ჩემი ბრალია შენი სევდა.. მე ხო მალე, მალე.. და აიკოს ტირილი წასკდა...

— არა, არა, აიკო, ჩვენ ვიცოცხლებთ.. თუ არ ვიცოცხლებთ, ჩვენ ვიგძნობთ ისეთ ნეტარებას, რომელიც არავის განუტოია..



აიკო, მოდი, აბა, ჩემს ახლო მოდი. და გიომ აიკოს ხელი მოხვია..

— ნუ, გიო, ნუ, ნუ, გე... შეაწყდა სიტყვა პირში, მარა წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— აიკო, წამოიძახა გიომ, გინდა უდიდესი ნეტარება იგძნო?.. ჰო, იგძნობ, იგძნობ და ვიგძნობ უდიდეს სიტკბოებას, ჩემო წყლის ასულო! ჰო, ჩვენ განვიცდით იმას, რომელიც ცოტას განუტოია. აბა, გულში ჩამეკარ. აბა, ნურათურის გეშინია, ჩემო.. ჩვენ ხო გვიყვარს ერთმანეთი?

ისინი ერთმანეთს ჩაეკვრენ.. მათი ტუჩები შესაგრებლათ მოემზადენ.

— ახლა-კი უფსკრულისკენ.. წამოიძახა გიომ..

— კარგი.. ჟრუოლით წარმოთქვა აიკომ და გიოს ტუჩებს დაეკონა..

— უფ... კენ-.. გიჟივით ესლა მოასწრო გიომ და მაგრათ ჩაეკონა აიკოს.

მოსწყდენ ორივენი კიდეს და უფსკრულში გადაეშვენ..

მათ იგძნეს წამით უდიადესი სიტკბოება.. იგძნენს წამით და ოვისი სხეულები საუკუნოთ მდინარის გიჟ ტალღებს ჩააბარეს...

ქ. ბაქო.

ღია ჩიანელი.

### ლ ტ ო ლ ვ ა.

უსაზღვროა ფიქრთა ველი, უსაზღვროა აზრთ საქყარო... სული ილტვის და, არ ვიცი, რომელს ვენდო, დავემყარო... გუშინ აზრი, რო მაგზნებდა, და ყოფნის გზას ნათელს ფენდა. ის დღეს მოკვდა. მის ალაგას სხვა-ახალი აღმოცენდა.

მიქრის ჟამი, სული ილტვის და სურვილი სურვილს სახავს, ეხ, აწ მყოში სრულ ქმნილ მიზანს მომავლისას ვინ, ვინ ნახავს!?! ყოფნა რაა?! მარად ლტოლვა, მარად ბძოლა, ჟამთა რღვევა, წუთიერი სიამისთვის წლობით ტანჯვა, ცრემლთა ფრქვევა...

დრო და სივრცის ზღუდეს სული კვლევის ჯინით ეხეთქება, არ ეკრძაღვის, თუ ის ამ დროს, ლტოლვის ზღვარში დაინთქება,

ოღონდ ახსნას ყოფნის აზრი, საიდუმლო, დაფარული, ოღონდ ახსნას ადამის ძეს, რატო ტანჯავს ბედი კრული..

მახსოვს, ერთხელ, მთას ავხედე-მთა წვდებოდა ლაქვარდს წვერით ვთქვი-ავალ იქ, ცას ვიხილავ და დავტკბები მისი ცქერით, რასაც ირგვლივ აქ ვერ ვარკვევ, დღიურ ფიქრით დატყვევნილი,

იქ მაღლიდან დავინახავ, ცის მახლობლათ აღვლენილი...

.... და გავშალე ფთა, აფერინდი... ზევით ტკბილ ოცნებით მთვრალი,

თითქმის სულ ვერ შევამჩნიე, ვით ავქროლე მთის მწერვალი.

...მარა... ვახმე!..!- ცა სად არი?!?! მიწა მოჩანს, ვით წგრტლი.

შემეკვეცა ოცნების ფთა, მთას დავეკარ ძალ მიხდილი...

დიღხანს ვკენესდი... შემდეგ ისევ ცისკენ ვიწყე ლტოლვა-ფრენა,

დავგმე ეჭვი, კავშანი, უსაფუძლო სულთქმა-ქშენა,

გულმა იმედთ ნანგრევებზე, კვლავ იმედი ააშენა,  
და ვთქვი: მხოლოთ მიზნისადმი ლტოლვაშია სულის ღებნა.

ი. სიხარულიძე.

## ზამთარი კვლავ დათარეშობს!

ზამთარი კვლავ დათარეშობს!..  
ლოდათ აწევს ტანჯულ თემებს..  
თუმც კარგათ გძნობს აღსასრულსა,  
ქედს არ იხრის... ხმარობს ხერხებს.

მარჯვნივ, მარცხენივ, აქაც, იქაც,  
თვის შხამიან იარაღებს-  
მტარვალურათ იქნევს კიდევ...  
მაშვრალთ კენესას არად აგდებს..

მსურველია არ იხილოს  
ოქროს ტახტზე გაზაფხული  
და, მის კეთილ განზრახვისა,  
კარგი ბოლო... დასასრული...

მარა მწამს, რო დაიფუშვის  
ზამთრის ხრიკი, ოინები..  
დაიძლევა... გაქრებიან  
იმისი ცრუ იმედები!...

მწამს, მის ნაცვლათ, ტახტზე ავა  
თფილ-კეკლუცი გაზაფხული,  
გაიხარებს.. შევბას იგძნობს  
ღღეს ტანჯული, დაჩაგრული.

გათბებიან მაშვრალთ ძვლები..  
მოიკრებენ ახალ ძალას  
და მედგრათაც დაიწყებენ  
არსებობისათვის ბძოლას...

ჩვენ საღებნათ მთა და ბარი  
შეიმოს --გაიფუქნება...

შეება — ღებნა, არმონია  
ქვეყანას მოეფინება..

მაშ, ვუსურვოთ გაზაფხულსა  
ბედნიერათ ტახტზე ასვლა...  
და ზამთარს—კი მალე, მალე  
სამარე... და მაში დაფვლა!...

გორგი.

## ერთ ვინმეს.

გნახე, ტურფავ, ბადრი მთვარე  
შენს შევენებას დაეჩდილა.  
გულს მოადგა შევბის სხივი  
და იმედმაც წამფურჩულა,  
მარა, თურმე, კრელი იყო  
და სატანა შენი გული;  
კარგა ხნიდან უკუ გეგდო  
გძნობა წმიდა სიყვარული:  
შენს შევენებას ფიანდახათ  
სხვებს უფენდი, სხვას აწვდიდი,  
სხვა ტკებოდა მაგ სიტურფით  
და მშობელ ერს ლაჩრათ თელიდი.  
და მეც, თურმე, სასხვერპლოზე  
ფეხი მედგა, მარა შევეკრთი,  
რო ვერ ვბოვე შენს ძარღვებში,  
შენი ქვეყნის სისხლის წვეთი...  
და სატანას მეც ხელს გიქნევ,  
სხვა არ იყოს შენისთანა:  
ვერ გითვისებთ გაიძვერას,  
რაც გვატყუე, ისიც კმარა...

ა. ხაბუღიანი.

## გაზაფხულის რითმები.

(ავტორი სსსტიკათ უკრძალავს „რისივერ ეანწყებს“ ამ ლექსის  
გადაბეჭდვას)

კვლავ გავხდი ღირსი, გაზაფხულო, შენი ნახვისა,  
მარა, ვის ვანდო, ბროლ-ზურმუხტო, მითხარ, ახ, ვისა,  
ეს საშინელი ქარავანი ფიქრთ და ზრახვისა?.,  
დღეს ნატამალიც ვერ ვიშოვე ვერსად ხახვისა!  
გამოიდარა კვლავ ბუნებამ და იმ დარით მან,  
თოვლის ბალიშს ქვეშ, აამლერა ჩქერი, დართიმა...  
გულის სატრფომაც გადიყარა მხრებზე შავი თმა...  
კატა შემიწვა მხარეულმა ჩემმა, დავითმა!  
გულზე რო სევდა მომწოლია, სადაურია?  
ბედმა ჩემ ღიმილს ცხარე ცრემლი რად აურია?..  
ვგოდებ და მოვთქვამ, ვით ბაბილონს-მოშა ურია...  
სად გავგონილა, ზაქის ხორცი ცხრა შაურია?  
თავს ვერ დავაღწევ, გადამიტანს კემანთ ურდო,  
მარად თან მახლავს აბეზარა, ვით ძველი სურდო,  
დღეს რად გაცივდა სისხლი ძარღვში, გუშინ რო ხურდა?..  
ახ, სად კიშოვო წვრილი ფული, მანათის ხურდა?  
ასეთ განსაცდელს სიკვდილი ჯობს, ჯობს აგონია...  
დე, ფერიებმა ვარდი შალონ და აგონ ია,  
მე, სატრფოვ, მაინც თავს მოვიკლავ, მა რა გგონია?..  
ექვს-ექვსი სხედან... გაქედლილა თლად ვაგონია!  
თუმცა ზურმუხტათ ხავერდდება, დახე, ვიშ, ველი  
და ჩემი სატრფოც, ისე შეგნის, როგორც მთის შველი,  
მარა, კეკლეუცო გაზაფხულო, შენ ვერ მიშველი!..  
ტანისამოსი დამიძველდა, დავრჩი შიშველი!  
ჰა, დავივიწყე რომანტიზმი: ჰუგო, შუმანი:  
ჩვენს ფუტურისტებს მივაპყარი ფიქრი, გუმანი:  
ოჰ, რა კარგია მოხარჩული აბასთუმანი!..  
წყვალ ფესხაცმელში, როგორ მივცე ოთხი თუმანი?  
აჰა, გავშიშვლდი, ვიგრიხები და ვიკვანწები,  
რითმებს დავეძებ, ხელთ მიჭირავს... ლურჯი ყანწები!..

თაგუნა.

ბმოლის ველზე მუთუ ქართუელ გძირებს.

თქვენ! ნუ შესწყვეტთ დაფ დაფის ხმას ძირს ნუ დახრით დროშას ძლიერს,  
მტერს აჩვენეთ, რო გამირები კიდევა ყავს ჩვენს ერს, ძლიერს...

ნუ ივაწყებთ, რო ძველაფვე გვეძახიან ივერიელს;  
 გახსოვდეთ, რო დღეს ბევრი მტრობს ჩვენ სამშობლოს  
 — ნახს, შევნიერს.

ნუ შედრკებით, მედგრათ, ძმებო! აუმაღლეთ ხმა ნალარას,  
 ნუ შეარცხვენთ თქვენ სამშობლოს, მოხუცებულს, თლად  
 — ჭალარას.

შეეწირეთ წმიდა სხვერბლათ თქვენსა გამჩენს, მაღლით უფალს  
 რო სამშობლოს, ჩვენს დიდებას ვიხილავდეთ თავისუფალს...  
 ნულა შეწყვეტთ დაფ დაფის ხმას, აუმაღლეთ ხმა ნალარას  
 ნუ შეარცხვენთ თქვენ სამშობლოს, მოხუცებულს, თლად  
 — ჭალარას.

ქ. ვარი

ობოლი მწყემსი.

### ს ი მ დ ე რ ა .

რათ მიცქერი, ბედო, აგრე ცივათა,  
 რათ მოპაპყარ ვგ თვალეზი მტრულათა,  
 რათ მიწყლოლებ ჩაგრულ სულსა და გულსა,  
 რათ მღუმარებ, რათ არ მაძღვე პასუხსა.  
 ხომ იცი, რო ნაღველ სმული ეს გული  
 არი მუდამ დატანჯული, დაგული.-  
 მუდამ ვტირი, ვღვრი მღუღარე ცრემლებსა;  
 ობლათა ვარ, შევღუპრივარ ფიქრებსა.  
 რისთვის არის უკულმართი ცხოვრება,  
 ტანჯვის ცრემლი მუდამ რისთვის იღვრება?  
 ერთის ტანჯვა, რათ ახარებს მეორეს? —  
 ტანჯულთ კენესა ქვებმაც გაიმეორეს. —  
 კარგათა ვგძნობ, რო მოღის გაზაფხული,  
 ბალში ვარღზე ტკბილათ უსტვენს ბულბული.  
 მეკი, ხედავ, საკანში ვარ მწუხარე;  
 მხეს ვიგონებ და ცრემლი მღის მღუღარე.  
 ტყვეობაში სული იმისთვის მხდება,  
 რო მიყვარდა ბოროტების ვაგება;  
 თავისუფლათ, რო მეც გული მიძგერდა,  
 ვიწროობა სულს მხუთავდა, მიქერდა.  
 გამოვედი საბძოლველათ, ვით გმირი,  
 ღამატყვევეს, გარს მარტყია ქვითკირი.  
 ველარა ვქვრეტ ღაქვარდ ცას და თვარესა,  
 ვერც მზის სხივებს, სპეტაკს, მოელვარესა...  
 ცასა წვდება ჩაგრულთ კენესა — ტირილი;  
 მუდამ დვენის მათ სიცივე — შიმშილი.  
 მტარვალი-კი ლაღობს გველის წიწილით;

კანონებს ქმნის, იპაჭება სიცილით.  
 სურს, ჩაგრულთა მეტი სისხლი დალიოს;  
 ჩენი ტანჯვა ბედმა როღის დალიოს!..  
 მზეო, მოდი, შევების სხივი ჩამბერე,  
 ერთხელ კიდევ ცისკრის ჰიმნი დამღერე,  
 ოქნებ, აღვდგე დაცემული სულითა,  
 გავიკურნო ნაღველით და წყლულითა,  
 რო მონობის ბორკილები დავღვეწო;  
 ერთხელ მაინც ქერი, ჩემთვის გავღვეწო.  
 გ. ლაღოშვილი.

### მ რ გ რ ნ ე ბ ა .

(იმში დახმობილებს)

თქვენ! იქ დაეცი თ ბძოლისა ველზე;  
 ყინვამ გათოშა ვგ თქვენი ძვლები...  
 სადაც საზარი სუნი დვას მძორის  
 და ზეიმობენ სვავ-ყორან-მგლები!

\* \*

ვერ დაგიტირებთ მშობელი დედა,  
 გულს ვერ დაგიფრქვევთ ის მღუღარებას;  
 დააღნობს დარდი, დააღნობს სევდა,  
 მარა, ვინ იგძნობს, მის მწუხარებას?!-

\* \*

თვე თვეს გაყვება და წელი წელსა,  
 დაიკარგებით ჟამთ-სელის უფსკრულში:  
 მხოლოთ ნიავე მოუთხრობს ველსა,  
 რა ცეცხლიც დულდა, ძმებო, თქვენ გულში!..

ქ. მიმქრალი.

**ჩემ სატრფოს.**

(ძღვ. კ. მიქალას.)

ვაპ, თუ ჩემებ თაის დავფრინავს  
 შავ ქვესკნელის, შავი ჩდილი,  
 ბნელ საკანში ცრემლებსა ღერი,  
 მტრისგან ხელ-ფეხ შებორკილი...  
 გაგონდება მშობლის ცრემლი,  
 გაგონდება შენი სატრფო,  
 უსამართლო შეპყრობილი.  
 სულის ფრენით, ტკბილ ოცნებით,  
 შენკენ მოვკრი, როგორც გედი,  
 ვაპ, თუ ჩემებ გულით ზიდავ  
 მხოლოთ ტანჯვას, უნუგეშოს,  
 და გზას უხშობს, ძარღვებში მჩქევ,  
 აწვირთებულ ბძოლის წყურვილს.  
 ცივ კედლებზე შეჯაჭულსა,  
 მონის ხუნდი გიმღერს ნანას!..  
 ვაი სატრფოვ! თუ შენც ჩემებ  
 მოვაშორეს შენს ქვეყანას.

ტანჯული ქალი.

19 14. წ. 30 აგვისტო.

**ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.**

აქ კიდევ მინდა დავუბრუნდე ილია ქავ-  
 ჭავაძის და ივანე მაჩაბლის ბძოლას, რათგან  
 ამ ბძოლას კავშირი აქვს ერთ გარემოებასთან,  
 რომელსაც მინდა შევეხო.

ბძოლა გათავდა. როგორც ზევითაც მო-  
 ვახსენეთ, ივ. მაჩაბლის პარტიის დამარცხებით  
 და ასეც უნდა მომხდარიყო.

ამ პატიის დიდ ნაკლს შეადგენდა ის,  
 რომ მას ბელადი არ ყავდა.

ივ. მაჩაბელი ნიჭიერი მომწყობი და ორ-  
 განიხატორი იყო პარტიისა. მარა, სამწუხა-  
 როთ, მას არ ქონდა ის თვისება ხასიათისა,  
 რომელიც, აუცილებლათ, უნდა ქონდეს დიდი  
 პარტიის წინამძღოლს. ამით მე მინდა ვთქვა,  
 რომ ივ. მაჩაბელს არ ქონდა მაგარი ნერვები.  
 იგი იყო ფიქნი, ფურფუშველსავით მალე აენ-  
 თებოდა, აპრიალდებოდა და, თუ საქმე ისე არ  
 ვაკეთდებოდა, როგორც მას სახლში ქონდა

აღრე გამოანგარიშებული, მოთმინებიდან გა  
 მოდიოდა, ენერგია ეკარგებოდა და გული  
 უტყდებოდა... როგორც თამაში, კარგი მხე-  
 დარი ხშირად უნდა ელოდეს ცენიდან გა-  
 დავარდნას, ისე მებძოლი-დამარცხებას. მარა  
 დამარცხებამ ხალისი და ენერგია-კი არ  
 უნდა დაუკარგოს მას. პირიქით. განახლებული  
 ენერგიით უნდა წამოდგეს, თუგინდ ცხვირპირი  
 სისხლში ქონდეს გასვრილი და მტერზე ისევ  
 განახლებული იერიშები მიიტანოს. მეთაურის ენე-  
 რგიას მუდამ უნდა აცხოვლებდეს იმედი უკეთესი  
 მომავლისა. ბელადი უნდა იყოს აღჭურვილი დიდი  
 მოთმინებით ხასიათის სიმტკიცით და სიამაყითაც;  
 რომ თავის მოთმინებით მოპირდაპირე დაამდაბლოს  
 და დაანახოს საზოგადოებას არა საკადრისი ხერხი,  
 რომელსაც მტერი მიმართავს მის დასამარცხე-  
 ბლათ და, ამით, თვით ამალღდეს საზოგადოების  
 თვალში. იგი უნდა იყოს შორს მქვრეტელიც,  
 ყოვლის ამტანი, დიდ სულოვანი და ნერვების  
 მაგიერ, ბაგირი უნდა ქონდეს...

მაშინ გამარჯვებაც მიუცილებლათ, მისკენ იქნე-  
 ბა. ყველა ამ თვისებას ივ. მაჩაბელი, სამწუხაროთ,  
 მოკლებული იყო. ამას დაუმატეთ ცუდი ჩაბე-  
 ქდილება, რომელიც იწვევდა მისი სურვილი  
 ბანკში ილ. ჭავჭავაძის ადგილის დაჭერისა. იგი  
 რომ უანგარო მებძოლი ყოფილიყო, მაშინ,  
 შეიძლება, ბძოლას სხვა შედეგი მოყოლოდა.  
 ივ. მაჩაბელმა დაამტკიცა, რომ იგი უფრო  
 ადგილის მძებნელი იყო, ვიდრე ილ. ჭავჭავა-  
 ძის მართვა-გამგეობის დამწუხნებელი. როგორც  
 დამარცხდა, მაშინვე მისმა ნათესაებმა გომის  
 სინდიკატში უშოვნეს თავმჯდომარის ადგილი:  
 თითქოამდენი შეგლა-შემოხლა, ამისთანა დიდი  
 კორიანტელი მისთვის ასტეხეს, რომ ივ. მაჩაბლი-  
 სთვის ბანკის თავმჯდომარის ადგილი ეშოვნათ!  
 რომ პარტიის ბელადთ არ ვარგოდა, ივ. მა-  
 ჩაბელმა დაამტკიცა დამარცხების შემდეგ, უგ-  
 ზო უკველოო გადაკარგვით...

მისი მოპირდაპირე სულ სხვა გვარი მე-  
 ბძოლი იყო. გარდა პირადი ღირსებისა, ილ.  
 ჭავჭავაძე იყო დიდი მოთმინებით აღჭურვილი,  
 მაგარი ნერვების მქონებელი, მოურიდებელი და  
 უღმობელი ბძოლაში. იგი მზათ იყო ყოველ გვარი

საშვალეობა ეხმარა, თუ გინდ არა საკადრისიც, ოღონდ მტერზე გაემარჯვებინა. ილ. ჭავჭავაძე, თავის სასარგებლოთ, ყალბი დებუშის შედგენასაც არ მოერიდა ფინანსთა მინისტრის სახელით, ოღონდ ამომრჩეველებზე ჩაბეჭდილება მოეხდინა, რომ იგი მართალია და სხვები-კი სტყუიან... ამას დაუმატეთ ილ. ჭავჭავაძის პოზიცია. იგი ბანკის თავმჯდომარე იყო, შეეძლო ყოველ გვარი შეღავათი მიეცა მსესხებლებისთვის და თავისკენ მიემხრო ივანი.

როგორც ივ. მაჩაბელს, ისე ილ. ჭავჭავაძეს ურიცხვი მებაჟანდევები დასდევდნენ უკან ბანკში თანამდებობის შოვნის მსურველნი. თუ მაჩაბელი გაიმარჯვებდა, ბანკის მოსამსახურეებს, გამოარეკდა და იმით ადგილზე, თავის მომხრეებს მიიპატიებდა. ამის გამო, ჭავჭავაძეს მხარს უმაგრებდნენ ბანკის მოსამსახურეები, რომ თავიანთი ადგილი შეერჩინათ...

მხოლოდ ერთად-ერთი ილ. ხონელი არაფერს თავისთვის, პირადათ, არ მოელოდა. ილ. ხონელს უნდოდა მხოლოდ ესარგებლა ამ ბძოლით, რომ ილია ჭავჭავაძე ჩამოეგდო თავმჯდომარის ადგილიდან. თუ ილ. ჭავჭავაძე ბანკის თავმჯდომარე არ იქნებოდა იგი დაკარგავდა იმ განუსაზღვრელ გავლენას, რომელიც ქონდა ქართულ საქმეებზე და რომელთაც, ხონელის აზრით, ჭავჭავაძე აფერხებდა. ილ. ჭავჭავაძე, ბოლოს დროს, მძიმე და აუტანელ ტვირთად აწვა ქართულ საქმეებს.

ორმოცი წლის განმავლობაში, იგი სათავეში უდგა ქართულ საკულტურო საქმეებს. საქართველოში არაფერი მოხდებოდა, რომ მისთვის არ ეკითხნათ, მისგან არ მიეღოთ ლოცვა-კურხევა. დიდი ხნის დგომამ სათავეში, იგი ისე გაამედიდურა, რომ, ბოლოს დროს, წმინდა წყლის სატრავათ გარდიქვა. იგი არ ითმენდა, რომ ვინმეს სხვა აზრი ქონოდა, ყველას ისე უნდა ეფიქრა, როგორც თვით ფიქრობდა, ყველას ისე უნდა ემოქმედნა, როგორც თვით სურდა. თუ ვინმე გამოიჩინდა ინიციატივას და ილ. ჭავჭავაძეს დაუკითხველათ დაიწყებდა საქმეს, იგი, უსათუოდ; წინ გარდაელობებოდა და საქმეებსაც ჩაშლიდა და მის დამწყებსაც

მასხარათ აიგდებდა. სამასხროთ ასაგდებო იარალი მხოლოდ მას ქონდა ხელში, იგი იყო პატრონი ერთად-ერთის ქართული გაზეთისა ჩვეუში.

ილ. ჭავჭავაძე რომ საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა, ჩვენი ცხოვრება მარტივი და სადა იყო. ჩვენი ინტელიგენტური ძალები ხელის თითებზე დაითვლებოდა. ილ. ჭავჭავაძე, მათ შორის, დიდი ბწყინავი ვარსკვლავი იყო. მაშინ ილ. ჭავჭავაძეს ხელში კამერტონი ეჭირა. როგორ ჰანგსაც იგი აიღებდა, ირგვლივ იმ ხმაზე ხანს აძლევდნენ მას.

ილ. ჭავჭავაძემ ბოლო დროს, ვერ შენიშნა, რომ ძველი დრო აღარ არი, რომ ჩვენ ქვეყანაში გაჩნდნენ ევროპულ განათლებით აღჭურვილნი; ენერგიით და მოქმედების ჯიხით ავზნებული ნიჭიერი ახლოგაზდები, რომელთაც სურდათ საკუთარი გზით ევლოთ და სხვის დაუხმარებლათ შემბულიყვენ საზოგადო საქმეების უღელში...

მე ვთქვი, ვერ შენიშნა; არა. ეგ მართალი არ არი. ილიამ კარგათ შენიშნა და, ამისთვისაც, აქ იწყება დიდი ტრადედია მისი რთული ცხოვრებისა. როგორც სიბერეში შესული ერთ დროს დიდათ ლამაზი კეკლუცი, ფერ უმარალით იბძვის ყოვლის მომრევე, უძლეველ დროსთან, რომ შეინარჩუნოს თავყვანის მცემელნი და ახლოს არ ატარებს ლამაზ მსახურებს, რომ არ დაჩრდილონ იგი, ისე ილ. ჭავჭავაძე ებძვის ნიჭიერ ახალ გაზდებს, ჯერ ერთს დაიახლოვებს და რომ შეამზნევს, იგი მის ყურ-მოჭრილ ყმათ არ გამოდგება, თავიდან იშორებს, მერე, მეორეს დაიმეგობრებს, იმასაც მალე იგივე ბედი მოლის. ბოლოს, ილია მარტო დარჩა...

ვინც მას ებძოდნენ, ერთ დროს ყველა მისი დიდი ერთგული მეგობრები იყვენ. ვისაც ილ. ჭავჭავაძე მოიშორებდა, მერე, იგი იმას არც ერთ ქართულ დაწესებულებაში არ გააქაქანებდა.

თუ როგორი გაფაციცებით ილ. ჭავჭავაძე თვალს ადევნებდა, რომ საქართველოს ბელადის ბაირალი ხელიდან არ გავარდნოდა, ამის დასამტკიცებლათ კმარა მოვიტანო, მა-

გალითად, მისი პიზიცია იმ დროს, როდესაც თფილისის სამეურნო ბანკის დაფუძნებას აპრობდენ. ეს ბანკი დაფუძნებულია მაშინდელ თფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღვრის, თ. კონსტ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანელის თაოსნობით.

როდესაც ილ ქავეჭავაძის ყურამდი მივიდა ამბავი რომ ივ. მაჩაბლის პარტია ბანკს აარსებს, ილ. ქავეჭავაძეს ეს ამბავი სასაცილოთ არ ყოფნიდა. „ვინ დაუმტკიცებთ წესდებას, თუ დაუმტკიცეს, ვინ გაუძღვება ბანკს“ ამბობდა იგი დაცინივით.

იგი ისე განებივრებული იყო დიდი ხნის ბატონობით, რომ წარმოდგენაც არ შეეძლო საქართველოში ბანკი, თუ თვით მისი, ან თავმჯდომარე არ იქნებოდა, ან დამაარსებელი...

ბოლოს, მოახსენეს: „დამტკიცებული წესდებაც მოუვიდათ და კრებაც დანიშნეს გამგეობის წევრების ასარჩევათ“. ილია ქავეჭავაძეს ელდასავით ეცა ეს ამბავი. იმან წარმოიდგინა: ამ ბანკში ჩემი მტრები მოიკალათებენ და ქართველ საზოგადოებაში ვაგლენას მოიპოვებენ. სულ ცოტა ხნის განმავლობაში ისეთი „პრობოვანდა“ გასწია საზოგადოებაში, რომ ქვეყნის მტრებით მოაჩვენა საზოგადოებას ბანკის დაარსების მოთავენი და მათი ბანკი, თუ დამფუძნებელთა ხელში დარჩებოდა იგი.

ილია ქავეჭავაძე არწივივით გაჩაღ კრებაზე თავის მამხრეებით, როდესაც ახალს ბანკის გამგეობის წევრებს ირჩევდენ. გამგეობის წევრებით სულ თავის კაცები ამოარჩევია კრებას და ისეთი ამბავი მოახდინა, რომ დამფუძნებელთა კრებაზე ქუდებაც დაავიწყდათ და ბანკის წესდებაც.

ცოტა ხნის განმავლობაში, ისეთი თანხმობა განჟფდა ახალ ბანკის გამგეობის და ილ. ქავეჭავაძის შორის, რომ ილ. ქავეჭავაძეს ფრეილინის ქუჩაზე, სადაც თავად აზნაურობის ბანკი იმყოფებოდა, დაენციხინკეობა, სასახლის ქუჩიდან, ახალი ბანკის გამგეობა იმწამსვე ფეხზე წამოდგებოდა და ბატონს სიკოცხლეს უსურვებდა. სანამ ილია ქავეჭავაძე ქართულ

საქმეების სათავეში იდგა, სამეურნო ბანკი თფილისური განყოფილება იყო სათავედ აზნაურო ბანკისა: რასაც ბძანებდა ილ. ქავეჭავაძე, იმას ასრულებდა ეს სხვისგან დაარსებული და ილ. ქავეჭავაძის მითვისებული ბანკი..

სამეურნო ბანკი იმ დროს, უფრო დამბლა დაცემულ მოგახშვს გავდა, ყავარჯენზე დაბჯენილს, ვიდრე საფინანსო დაწესებულებას. სესხსაც არჩევნით აძლევდენ, უფრო იმათ, რომელნიც ილ. ქავეჭავაძეს დაეხმარენ გამარჯვებაში. მე მოგახსენეთ, ილ. ქავეჭავაძე მძიმე ტვირთად აწვა ქართულ საქმეებს. უფრო მძიმე ლოდით აწვა იგი თფილისის სათავედ-აზნაურო ბანკის მსესხებელებს, რომელთაც, ილ. ქავეჭავაძის თვითნებობა ძვირათ, ძალიან ძვირათ უჯდებოდათ. მაგალითად, ხელი რომ შეეშალა მსესხებლებისთვის, რომელთაც სურდათ თფილისის ბანკიდან ქუთაისის ბანკში მამულების გადაგირავება, სადაც სესხის აღების პირობები უფრო შეღავათიანიც იყო და სესხის სარგებელიც ნაკლები, ვიდრე თფილისის სათავედ-აზნაურო ბანკში, ილია ქავეჭავაძემ ამ გვარ შეუწყნარებელ ხერხს მიმართა. გამოაცხადა: ვისაც სურს ვეღამი სესხის გასტუმრება და ვალის დაფარვა, იმან ნაღდი ფული შემოიტანოს და, თუ არ სურს ნაღდი ფულის შემოიტანა და ობლიგაციებით ისურვებს ვალის გასტუმრებას, იმ შემთხვევაში იმ სერის ობლიგაციები უნდა წარმოადგინოს, რომელ სერის ობლიგაციები იყო გამოშვებული ბანკიდან, როდესაც მსესხებელი სესხს იღებდა. ნაღდი ფულის შეტანა მსესხებელს. რასაკვირველია, ხელს არ აძლევდა. მისთვის რომ, როდესაც იგი სესხს იღებდა, ბანკმა ფულის მაგიერ, ობლიგაციები მისცა მას. ობლიგაციების ფასი, ხან იწვევა, ხან იკლებს. ფასის აწვევდაწვევის მიზეზი სხვა გარემოებაზე არი დამოკიდებული, რომლის გამოკვლევას აქ არ გამოუდგები, რათგან შორს წაგვიყვანდა. დარჩა ობლიგაციებით ვალის გასტუმრება. მარა ბანკი თხოულობდა იმ სერის ობლიგაციებს, რომელნიც იყვენ გამოშვებულნი, როდესაც მსესხებელი, სესხს იღებდა. ობლიგაციები, მოგეხსენებათ, დღიდან გამოშვებისა, ხე-

ლიდან ხელში გადადის და მათი ისევ ხელში ჩაგდება ძალიან ძნელია და მოუხერხებელიც.

ამით სარგებლობდნენ ჩაჩხები, რომელნიც ობლიგაციებით ვაჭრობდნენ და ობლიგაციების ყიდვის მსურველთ მოგებით მიყიდებდნენ. ამ გვართ, ილ. ჭავჭავაძის ჯიუტობის და „მე ვარ და ჩემი ქეიფის“-წყალობით, გაჭირვებულ მსესხებლების ჯიბეებიდან (აბა, დალხინებული ვინ მიმართავს ბანკს!?) ყოველ წელს რამდენიმე ასი ათასი მანათი გადადიოდა ობლიგაციებით მოვაჭრეთა ჯიბეებში!

ივ. მაჩაბელი და მისი მომხრეები ილ. ჭავჭავაძეს უმტკაცებდნენ, რომ ბანკი არაფერს წააგებს, რომ სხვა და სხვა სერის ობლიგაციები მიიღოს მსესხებლებისგან ვალის დასაფარავათ. მსესხებლებს, რომელთაც სურთ ვადამდი ვალის გასტრუმბება, ხელს ნუ შეუშლით. ილ. ჭავჭავაძე მაინც თავისაზე მაგრათ იდგა. იგი ამტკიცებდა, რომ ივ. მაჩაბელს და მის მომხრეებს ბანკის გაკატრება სურთ და მისთვის უადვილებენ მსესხებლებს ვადამდი ვალის გასტრუმბებას.

ილია ჭავჭავაძის ფინანსიური ხრიკების გასაგებათ საჭირო იყო გონება გავითარებული ამომრჩეველი და მსაჯული და არა ისეთნი, როგორც იყვნენ კახეთიდან მისი მოყვანილი ნარიჯის ფერ ხავერდის სადარბაზო ქულაჯებში გამოწყობილი ვაშკაცი ამომრჩეველები და, ან ივ. მაჩაბლის ტივები ჩამოყვანილი გორელი მატრახაზები, რომელნიც მხოლოდ უტყდიდნენ ადრე და მალე ვათავებულ იყო სხდომა, რომ ბაღებში გაფანტულიყვენ საქეიფოთ და სსლანდაროთ...

ოპოზიციის გააფთრებულ შეტევაზე, ილია ჭავჭავაძე ლამაზ და მოხდენილ სიტყვას იტყოდა, რომელშიაც ამტკიცებდა ოპოზიციის სრულს უვიცობას, მას ბალი აღას შესძახებდნენ მისი ამომრჩეველები და ასე მარხავდა იგი მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს. ერთმა ამომრჩეველმა ერთ ამისანა სხდომაზე ტირილით მიმართა ილ. ჭავჭავაძეს: „შენი შესაწუხებლათ დავგვიარსებია, ილია, ეს ბანკი. რაც გინდა ის უყავი, შენი ქირის

სანაცვალო იყოს“, ფლიკენით და მოთქმით დაათავა თავ სიმონ დავ. ანდრონიკაშვილმა.

მოდო და ამისანა ამომრჩეველს დაუმტკიცე, რომ ილია ჭავჭავაძე ცდება და ოპოზიცია მართალი არაა!...

ეს საკითხი ობლიგაციების შესახებ, თითქმის ოცი წლის შემდეგ, სულ უბრალოთ გათავდა ილ. ჭავჭავაძის პოლიტიკის სრულის დამარცხებით.

ჩემთან მოვიდა 906 წ. კონსტ. რამ. გოცირიძე, რომელსაც სახლი ქონდა დაგირავებული თფილისის სათავადაზნაურო ბანკში და სურდა ამ ბანკის ვალის გასტრუმბება და ქუთაისის ბანკში გადაგირავება. იმ დროს ილ. ჭავჭავაძე არ იყო ბანკის თავმჯდომარეთ. მარა მისი სული კიდევ მეფობდა იქ.

გამგეობამ ბ. გოცირიძეს მოთხოვა, როგორც ილ. ჭავჭავაძისგან იყო დადგენილი, ან ნაღდი ფულის წარმოდგენა, ან იმ სერიების ობლიგაციების წარმოდგენა, რომელიც ბანკმა გამოუშვა, როდესაც მან სესხი მიიღო. ნაღდი ფულით ვალის დაფარვა ძვირათ ჯდებოდა და ობლიგაციების შოვნა შეუძლებელი იყო. თუ იშოვიდა, ისეც ძვირათ დაუჯდებოდა. რათგან ობლიგაციებით მოვაჭრეებში უნდა დაეწყო მათი ძებნა.

ბ. გოცირიძემ ამიხსნა თვისი გაჭირვებული მდგომარეობა და იურიდიული დახმარება მოთხოვა.

რათგან გამგეობის მოთხოვნების მხევისი ბანკის წესდებაში არაფერი იყო, მაშასადამე, ამ გვარი მოთხოვნილება სრული უკანონობა იყო, ჩვენ გარდავწყვიტეთ სამჯავროსთვის მიგეემართა და გვეთხოვა ბანკის დადგენილობის გაუქმება და აგებულება ბანკი, მიელო ბანკის ვალის დასაფარავათ ვადამდი ყოველ გვარის სერის ობლიგაციები, რათგან ბანკს ამით არავითარი ზარალი არ მოუვიდოდა. საქმის გარჩევის დღეს, მოვიდა ბანკის ვეჭილი და მოიტანა მთელი გროვა ბანკის დადგენილებისა, რომელშიაც გამგეობა ამტკიცებდა თვისი მოთხოვნილების სრულს კანონიერებას და თან ვეჭილი თხოულობდა, რომ სასამართ

ხავერდი



ლოს ჩვენთვის უარი ეთქვა. ვეჭილი ამტკიცებდა, სხვათა შორის, რომ ამ გვარი საქმის გარჩევა სასამართლოს არ ეკუთვნის, ბანკი ხელმძღვანელობს თვისი წესდებით და არა სამოქალაქო კანონებით. ჩვენ ავუხსენით მსაჯულებს, რაც ზევით მოგახსენეთ, რომ ბანკი არა ვაჟარ ზარალს არ განიცდის, რომ სერიების განურჩევლათ მიიღოს მისივე ობლიგაციები ვალის გასასტუმრებლათ. წარუდგინეთ ბანკის წესდება, რომელშიაც ამ მოთხოვნის მსგავსი პარაგრაფი არ არის, მაშასადამე, მისი მოთხოვნები სრული უკანონოა. და უფრო ბანკირის ძალმომრეობაა, ვიდრე კანონზე დამყარებული მოთხოვნა.

ამ გვარი საქმე ვეჭილისთვის უბრალო საქმეა. მე რა ეიცოდი მაშინ, თუ ეს საქმე ერთ უდიდეს კოზირათ ითვლებოდა ილ. ჭავჭავაძის წინაღობა. თურმე, ნუ იტყვი, ამ პროცესს გაფაციკვებით თვალს ადევნებდნენ ბანკის ყოფილი აიუქები!

საქმის გარჩევის წინა დღეს, ჩემთან შემოვიდა თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილი, ყოფილი დირექტორი თფილისის სათავად — აზნაურო ბანკისა და მომიტანა მოსკოვის კრების სრულიათ რუსეთის საადგილ — მამულო ბანკების წარმომადგენლების დადგენილი ოქმების კრებული. თ. ყოლოყაშვილმა მიჩვენა ამ წიგნში ერთი დგილი, საიდანც ჩნდა, რომ ამ კრებაზედაც აღძრულიყო საკითხი: ბანკს მიეცემა ზარალი, თუ არა, ვალის ვადამდი დასაფარავათ, რომ მიიღოს, სერიების განურჩევლათ, ობლიგაციები. რათგან ამ საკითხზე, კრება ორათ გაყოფილიყო, მოეწვიათ ექსპერტები, ცნობილი ფინანსისტები, რომელთაც ერთხმით აღეარათ, რომ ბანკი არავითარ ზარალს არ განიცდის, თუ ვალის დასაფარავათ მსესხებლებისგან მიიღებს ობლიგაციებს. სერიების განურჩევლათ.

მსაჯულებს მოსკოვის კრების ეს დადგენილობაც წარუდგინეთ, ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლათ.

სასამართლომ კანონურათ ცნო ჩვენი თხოვნა და უკანონო აღიარა თფილისის საზნაურო ბანკის დადგენილობა. სასამართლომ ვალდებული გახადა ამიერიდან

ბანკი, მიეღო მსესხებლებისგან ყოველ გვარი ობლიგაციები, სერიების განურჩევლათ, ვალის ვადამდი დასაფარავათ. ბანკის ვეჭილმა გადითანა საქმე სასამართლო პალატაში. პალატამაც დაამტკიცა თფილისის ოლქის სამჯავროს განჩინება.

ჩვენ, არა თუ თავზე ვარდავახით გამგეობას მისი უკანონო დადგენილობა, პირიქით, ზარალიც ვაზღვევინეთ. ამ საკითხმა რამდენი სისხლი გაუფუჭა ილია ჭავჭავაძის და მის მოპირდაპირებს და, რამდენი ფული გააღებინა მსესხებლებს, რომელთაც სურდათ ვადამდი ბანკის ვალის გადახდა!!

თუ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე ასი ათასი მანათი გადადიოდა მსესხებლების ჯიბეებიდან ობლიგაციებით მოვაჭრეთა ჯიბეებში, როგორც ზევით არი ნათქვამი, ოცი წლის განმავლობაში, რამდენ მილიონს შეადგენდა ილია ჭავჭავაძისგან დადგენილი ხარკი, ამის გამოთვლა მკათხველისთვის მიმინდვია.

ასე უბრალოთ, მარტივათ მოხდა ილია ჭავჭავაძის მონობისგან ტფილისის საზნაურო ბანკის მსესხებლების გათავისუფლება! ნუ ვინ იფიქრებს, რომ ილია ჭავჭავაძემ არ იცოდა, რომ მისი დადგენილობა უკანონო არ იყო. იცოდა, როგორ არ იცოდა. მარა მას უნდოდა მაინც და მაინც თავისი გაეტანა. მისი მოქმედება ხერხი იყო მხოლოდ თავგასულ ბანკირისა, რომელსაც სურდა არტახებით შეეჭრა მსესხებლები და ამ შედეგებით შეეჭრებოდა მათი გადასვლა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში, სადაც უფრო შედეგათიანი პირობები იყო. ილია ჭავჭავაძეს უნდოდა ამ ხერხით მოეხრჩო მეტოქე ბანკი და გაკოტრებამდი მიეყვანა იგი საქვეყნოთ. ეს პროცესი რომ გათავდა, ბევრი წერილი მივიღე ჩვენი ქვეყნის სხვა სხვა კუთხიდან სრულიათ უცნობ პირებისგან, რომელნიც მაღლობას მიხდიდნენ ბანკის შეუწყნარებელ დადგენილობის გაუქმებისთვის.

თუ მართალია ის მწარე ხმა, ილია ჭავჭავაძემ მოკლული არი საქართველოს ერთ დიდ პოლიტიკურ პარტიის დიდგენილობით, — ეს ფაქტი ჯერ დამტკიცებული არ არის, — ამ პარტი-

ას სხვა მიზანი არ უნდა ქონებოდა, გარდა ქვეყნის გათავისუფლებისა ვალაღებულ მებატონისგან...

მისმა მკვლელობამ წაუშლელი დაღი დასვა დიდი უმადურების ჩვენ ქვეყანას და პოეტისკი გააზგენა უკდავების ნათელი გვირგვინით, რომლის სხივები, ვარსკვლავებ, გაანაოებენ საუკუნოებში და ბნელი მას ვერ ეწევა...

რაც აქაური, მიწიერი, გარდამავალი იყო და რისთვისაც იგი იბძოდა და რისთვის მას ებძოდენ, უამითი-უამათ დავიწყებას მიეცემა, და დარჩება მისგან მხოლოდ ის, რისთვისაც იგი მიწიერი, გამოგზავნა ამ ქვეყნათ ზეციერმა...

ლ. ბაბტაძე.

(შემდეგი იქნება.)

# უკანონო დედა \*

(დასასრული).

განგლო/თვემ. მელანო კვლავ მოსამსახურის ადგილს დაეძებდა, თითქმის ყოველ დღე დადიოდა, ასე წოდებულ, „ქალთა ბაზარში“, სადაც თავს იყრიდენ უმუშავერი ქალები და შვამავლის საშვალეებით ალაგს ეძებდენ. მარა ამათ, ალაგს ვერ შოულობდა. იმ უამათ ისეთი დრო იყო, რომ უმუშავერობა ერთობ გავრცელებული იყო, და უსაქმო ქალებიც ძლიერ მრავლობდენ; აუ სადმე რაიმე ალაგი გამოჩნდებოდა. ერთმანეთს ეცილებოდენ და ისედაც მკირე ხელფასი, არარაობამდი ჩამოყავდათ. ოღონდ ალაგი ეშოვათ და ხელფასს ვინ დაგიდედა! შიმშილის შავი აჩილი ბედ-კრულთ უკან მოდევდათ და ისინიც გაშმაგებით ეხეთქებოდენ ქუჩიდან ქუჩაში, სახლიდან-სახლში, რომის უღმობელ ბჭყალებიდან თავი დაეღწიათ... არც მელანია აქცევდა ყურათლებას ხელფასის რაოდენობას: ოღონდ საქმე-კი ეშოვა, ოღონდ შიმშილით სული არ დაელია და მისი ბიჭიკო ხანგამოშვებით მაინც ენახა, მის

გაზდას მოსწრებოდა, ოღონდ ანეტა ეს გულკეთილი და პატოსანი, მარა სიღარიბის მორვეში მყოფი, ადამიანი არ შეეწუხებია, და მეტი არაფერი, უნდოდა. ყოველ გაჭივრებას აიტანდა, დღე და ღამე იზრომებდა... მარა არ იქნა, საიმედო ვერაფერი გამოახა. ისე ცხოვრება-კი არ შეიძლებოდა.. ანეტა თუმცა არაფერს ეუბნებოდა, არც თავის შეწუხებას ამჩნევებდა, მარა განა ის ვერ ხედებოდა თუ, რა მძიმე ტვირთად აწვა ბედ-შავს...

დღე და ღამე ფიქრში იყო მეღანო, და ამ ფიქრებით კიდევ უფრო დნებოდა, კვნებოდა და უსიცოცხლო არსებას ემსგავსებოდა ადამიანი... რა ექნა... რა გზას დადგომოდა?... ვინ იცის, რას არ იფიქრებს გაჭივრებისა და შიმშილის ბჭყალებში მყოფი ადამიანი! მელანისასაც ათასნაირი გულის მღრღნელი და სულის მკოდველი ფიქრები დატრიალებდენ თავს.. და თან-და-თან იგი ერთ გადაწყვეტილებას დაადგა, და ეს თვისი გადაწყვეტილება ერთ დღეს ანეტასაც გაუზიარა:

— დაო, შენც ხედავ, რომ ასე ჩემი ცხოვრება აღარ შეიძლება: უნდა რამე საშვალე გამოვინახო და ერთი გზას დავადგე.-დიდი ხანია ეს აზრი თავში მქონდა, მარა გული მას ვერ ურიგდებოდა: არ მინდოდა რომ თავი ასე დამემციებია. მარა, რა უნდა ექნა, ძალაუნებურათ უნდა შევეუროდღე თავის დამცირებას... მე გადაწყვეტიე, ჩემო ანეტა, რომ დღესვე კოლიას ბებისთან ჩემ შტერთან წავიდე და სახლში მიღება ვთხოვო... აგერ, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე იმ ოჯახიდან გამომაგდეს და, ეგებ, გული მოუღობა; ეგებ, მოსამსახურეთ მაინც მიმიღოს, რომ ჩემ კოლიას ვემსახურო და მასთან ახლოს ვიყო. ჩაუვარდები ფეხქვეშ, შევევედრები; ვეტყვი, რომ ცალიერი პურის მეტი არაფერი მინდა, ოღონდ ბავშვებთან ახლოს მამყოფოს, და, ეგებ, რამე გამივიდეს. და, თუ ვერაფერს გავხდი, მაშინ მორჩა!... საშველი აღარ იქნება და... ჰო-და, როგორ ფიქრობ შენ, ჩემოკეთილო, გამივა რამე, თუ არა?

— რა ვიცი, დაო!.. ვინ იცის, ეგებ, ქე მიგიღოს და, რისთვის არ ცდი...

\*). იხ. „ცხოვრება“ № 2.

— მაშ, კარგი! მე ახლავე მოვემზადები და წავალ...

მალე მელანია არა ჩვეულებრივი აღერსით და სიყვარულით გამოესალმა ანეტას და ზვიადაძის ქვრივის სახლისკენ წავიდა...

და, რამდენათ უახლოვდებოდა იგი იმ სახლს, რამდენათ ახლოვდებოდა წამი, როდესაც მისი ბედ-იღბალი საბოლოოთ უნდა გაწყვეტილიყო, იმდენათ მეტათ უღელავდა სული, იმდენათ თრთოდა მისი ტანჯული გული...

აჰა, მან უკვე შეაღო ქიშკრის კარი, ეზოში შევიდა და წუთით შეჩერდა. მას უნდა გადაეწყვიტა—წინ და წინ მოეხსენებია ქალბატონისთვის მისი მისვლა, თუ მოუხსენებლათ შესულიყო... „თუ წინ და წინვე ვაცნობე ჩემი მისვლა, არ მიმიღებსო“, გადაწყვიტა მან და შესავალ კიბისკენ გასწია...

აგერ, იგი გულის ფანცქალით აყვა იმ კიბეს, რომელსაც ქალბატონის ოთახის კრებისკენ მიყავდა.

ვით ღამის წყვდიადში გახვეული, ცივი ნიავის მიერ ათრთოლებული ფოთოლი, ისე თრთოდა ეჭვთა ბნელ ბურუსში გახვეული მელანია...

აი, კარებსაც მიადვა და შეჩერდა... მის თვალ წინ ეღვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთი მეორეს განვლილ ცხოვრების სურათები... და-მან სულ რამდენიმე წუთში მთელი ცხოვრების სიხარულით, თუ ტანჯვით ნაწერი რვეულის ფურცლები გადაათვალიერა; სულის ღელვით მოგონებათა ბურუსში გაეხვია...

უცებ. შეკრთა იგი... მას მოაგონდა, თუ რისთვის მივიდა იქ და აკანკალებული ხელი კარის გამოსაღებათ გაიწოდა. მარა ისევე ძირს დაიღო-და მწვავე ფიქრებს მიეცა... კარგა ხანს გარინდული იდგა. შემდეგ „რომ არ მიმიღებს, ხო ვიცი და თავს რათ ვიმცარებო“! — წამოიძახა და უკან გამობრუნდა... ცოტა გაიარა და ისევ შეჩერდა. ისევ მწვავე ფიქრთა ქსელში გაეხა...

ბოლოს— ჩემ ბიჭიკოს მაინც ვნახავო“.

გაიფიქრა, მტკიცე გადაწყვეტილებით მობრუნდა და კარი გამოაღო...

მდიდრულათ მორთულ ნათელ ოთახში, ძვირფას მაგიდასთან ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე მოხუცი ქალი იჯდა... იგი თავჩაქინდრული იყო და კარის გაღებაზე თავი ნელა აიღო, სტუმარს თვალი მოავლო და... მისი დიდრონი თვალები სიბრაზის ცეცხლით აენთო...

ოთახის კუთხეში კოლია პატარა ბურთს ეთამაშებოდა და, როდესაც კარი გაიღო, სწრაფათ შემობრუნდა, მელანოს შეხედა და ტურფა სახე გაუბწყინდა, ტუჩებზე ღიმი აუთამაშდა...

მელანომ დაიჩოქა...

— ქალბატონო! ნუ გამირისხთებით... მომეცით ნება ორი სიტყვა კვადროთ... მხოლოთ ორი სიტყვა...

ქალბატონო! მე დამნაშავე არ ვარ... მე-ყო, რაც ვიტანჯე. მომეცით ნება ჩემ შეილ-ლან ვიცხოვრო. ორივეს გემსახურებით და ხმელი პურის ნამცეცებით დავკმაყოფილდები, მეტი არაფერი მინდა.. არაფერზე შეგაწუხებთ... თქვენც ხო დედა იყავით; თქვენც ხო კარგათ იცით, თუ რა არი დედობრივი სიყვარული... აღარ ვარ... მეტი აღარ შემიძლია... შემიბრალეთ!.. მეყო, რაც ვიტანჯე... — მორჩილათ ევედრებოდა იგი ქალბატონს და მის მკრთალ ღაწვებზე ცრემლთა მძივი იკინძებოდა, დილის მზით გაბწყინვებულ მისის ცვარივით ნიკაპზე ეკადებოდა და ღაპა — ღუპით ცვივოდა...

გააფთრებული ზვიადაძის ქვრივი ზეზე წამოვარდა, მელანიას სიტყვა გააწყვეტია და ყვირილი დაიწყო:

— რაო?! შეგობრალო! ვინ?! შენ შეგიბრალო, რომელმაც სიცოცხლე მომიწამლე, რომელმაც ერთად ერთი შეილი ვადამირიე და საფლავში ჩამისვენე? ჩემი გიორგი ახლა ცოცხალი მეყოლებოდა, შენ რომ არ გადაკიდებოდი... შენ ვადამირიე შეილი...

— ქალბატონო, რისთვის კადრულობთ მაგას! მე თქვენი შეილი მიყვარდა და საყვა-

რელ კაცს რომელი ადამიანი კლავდა... ეს საშ...

— რაო?! გიყვარდა?... ზერე, ვინ მოგცა მავის ნება? სად ნახულა ბატონის და მოსამსახურე გოგოს სიყვარული?... ღმერთო, შვილი გადამირია, შვილი, შვილი... და ახლა კიდევ აქ მოსულა აგი მათხოვარი!... ვინ შემოღუშვა?! გოგო, დესპინა, გოგო!... არ გესმის, შე სასიკვდილე?... სად ხარ, გოგო!...

ქალბატონის ყვირილზე ოთახში შიშისგან აცხატებული და თვალეზ დაცეცებული გოგო შემოვარდა.

— გოგო, შე მოსასპობო, ვინ შემოღუშვა ეს მათხოვარი აქ? — ყვიროდა შიშისგან გონება დაფანტულ გოგოს...

მელანისკენ გამოსაქცევით დამზადებული ქალია, დედა რო დამოკლებული დანახა, შეჩერდა; მას ტუჩებზე ღიმილა გადაურბინა და სახეზე ვაკვირების ჩდილი გადაეფარა. იგი გაცივფრებით უცქერდა, ხან ერთს, ხან მეორეს: მის ბავშურ გონების თვალს ვერ განეჭვრიტა. თუ ერთს, რა ატორებდა და მეორეს, რა აყვირებდა. — როდესაც მელანია უკანასკნელ სიტყვას ამბობდა, იგი უცებ მოსწყდა აღვილიდან და დედისკენ გამოეჭანა...

დედამ შვილს თვალი მოკრა, ხელეები გაშალა და თვისი ბიჭიკო გულზე მიიკრა...

ტიროდა და კოცნიდა ცხარეთ, მსურვალეთ კოცნიდა მელანია თავის ბედნიერებას; მას აღარ ესმოდა ქალბატონის ყვირილი და წყევლა კრულვა; იგი მიხვდა, რომ მალე იქიდან ძალით გაავდებდნ და უკანასკნელით ეალერსებოდა მის გულის ვარდს...

— შვილო, ჩემო სულის დგმავ, შენ მაინც ხო გიყვარვარ, გენაცვალე, შენ მაინც ხო თანაუგძნობ შენს ბედკრულ დედას... მთელ ქვეყანაზე, ვინ მყავს შენს მეტი, შემოგველე, რო თანამიგძნოს, ჩემი გულის ნადები გაიზიაროს... არავინ ახლოს არ მიკარებს, ყველანი ქუჩისკენ მიშვერენ ხელს... რა უნდა ვქნა, გულო, უპატრონო და უმწეო ადამიანმა ქუჩაში, სადაც სუსტი ყოველთვის დაჩაგრულია ძლიერისგან, სადაც სიმართლე — ძალაა!... ამ ძალამ წაგართვა, შვილო, მამა-შენი; ეს ძალა არი, რომ მეც სიცოცხლეს მისპობს... ოხ,

როგორ მინდოდა, ჩემო ბიჭიკო, შენ აღმეზარდე, შენი დავაშკაცება მომსწრებოდა! მარა, ვინ მიძლევს ამის ნებას!... სადაა სამართალი!... ახლა შეიძლება სამუდამოთ გშორდები, შვილო, სამუდამოთ!...

— რას უყურებთ? რატომ გარეთ არ გაათრევთ? — უყვიროდა მის ძახილზე შემოვარდნილ მეგზოვებს და გოგოს ქალბატონი. მარა ისინი გაშეშებული იდგნენ, მელანოსთან მისვლას ვერ ბედავდნენ. — დიადი დედობრივი სიყვარული, დედის ნაზი და გძნობების ამწლევი ალერსი, რომელიც იმ წამში იქ გამეფებულიყო, ქვა ადამიანის გულსაც-კი დაალობდა, მოაგონებდა მის სიყმაწვილეს და ქვა გულში ნაზ გძნობებს აღუძრავდა... აი, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ვერც გოგოს და ვერც მეგზოვებს პირველათ მელანისათვის ხელი ვერ ეხლოთ...

მარა, აგერ, ქალბატონის შხამის მფრქვეველმა ყვირილმა მათ გულში წუთით აღძრული თანაგძნობა ჩაახშო, შიში გაამეფა და თავის სურვილზე აამოქმედა იგინი...

მეგზოვე მელანისკენ წაიწია, ხელის ჩავლება უნდოდა. მარა უცებ შეჩერდა; ისარივით მზასვრელმა მელანოს შემოხედვამ მას წუთით მოქმედობის უნარი წაართვა.

— შე თვით წავალ! ხელი არ მახლო! — მკაცრათ შეუყვირა მან და ქალბატონს მიუბრუნდა:

— ასპიტო გველო! ხო მოშხამე ჩემი სიცოცხლე? ხო დაიღებ გული ჩემი თანაგვა-წვალეობით? მეტი რაღა ვინდა? რაღას აფრქვევ მანამ მაგ გაბოროტებულ თვალეებით?... შენი შვილის შვილი მაინც არ გებრალეება? ვერ ხედავ, როგორ შეწუხებული და გაფითრებულია?... ვინ უნდა მიხედოს ამას ჩემსავით? ვის შეუძლია ისე ამის აღზდა, როგორც მე-მის ღვიძლ დედას? მარა ვანა თქვენ ვისმეს შეებრალეება!... აჰა, მივიღვიარ... და გაიხარე ჩემი დაღუპვით...

მრისხანებით ათრთოლებული ქალი უცებ მოლობა, შვილი გულზე მიიკრა და ტკბილი ხმით ბუტბუტობდა:

— მოდი, გულო, მიმეკარ გულზე, დაგედაცვლოს დადა-შენი... ვინ იცის, ველირსები

აწი შენს ნახვას, თუ არა! მივალ, იმედო, და სად მივალ, ის-კი არ ვიცი... მშვიდობით, ჩემო გულის ვარდო! მშვიდობით, ჩემო ბიჭი-კო! შენდა სანაცვალოთ წავსულიყო, შვილო! — ცხარე ცრენლის ფრქვევით წარმოთქვა მან, ბავში რამდენჯერმე გადაკოცნა, იატაკზე დასვა და სწრაფათ გარეთ გამოვიდა...

ბავში გულშემზარავათ აქვითინდა...

და, როდესაც ეს ქვითინი ისედაც ტანჯვით ძალა-მიხდოდა მელანიას მოესმა, გული წაუვიდა და კიბის პირველ საფეხურზე ჩაიკეცა...

მაშინვე მიცვინდენ მოსამსახურენი, წყალი აპკურეს, ოდნავ მოასულიერეს და ჯერ კიდევ გონება დაბნედილი ადამიანი, მარად მოძრავ ქუჩაში გამოიყვანეს. მარტოა მარტო გაისტუმრეს...

თავ-ჩაქინდრული, ტანჯვა-მწუხარებით გონება მოდუნებული მელანია ნელი ნაბიჯით ბალის კარებს უახლოვდებოდა... მან უნებლიეთ უმიზნოთ შეუხვია ბაღში და გძელ სკამზე ჩამოჯდა...

სანეტარო საღამო იყო...

ბალი ხალხით ივსებოდა...

იგი იმდენათ დაღალა, იდენათ გული დაუკოდა მთელი ღღის მწუხარებამ და სულიერმა შეფოთვამ, რომ ახლა არაფერზე არ ფიქრობდა; იჯდა დაღვრემილი და ხან, რას დაა-ცქერდებოდა, ხან რას:

მის თვალწინ გადაშლილი ცხოვრების სურათები მის მოდლილ გონებიდან განშორულ ოცნებას ფთებს ასხამდენ, ხან შორეულ წარსულში გადააფრენდენ, ხან შორეულ მომავალში...

...აგერ, ეს ლამაზი ვაჟი და ტურფა ასული როგორი ალერსით მუსიაფობენ, რა სიყვარულით უცქერენ ერთმანეთს... ბედნიერები!.. იყო დრო და ისიც ბედნიერი იყო. ისიც დასეირნობდა მის გრიშასთან ერთად... მერე, როგორ უყვარდა გრიშას საღამოობით სეირნობა!.. და კიდევ სეირნობაზე უფრო მას თვარიან ღამეში ზღვის პირათ ჯდომა უყვარდა... იქ ზღვის პირათ, კორდზე ჩამოჯდებოდნენ, ერთმანეთს ხელს მოხვედრდნენ და ზღვის ლაქვარდ სივრცეში იცქირებოდნენ...

აგერ, ისინი სხედან თავიანთ საყვარელ ადგილზე... ნაზი თვარე თავის მოციმციმე სხივებს ვეცხლის მიძევებათ ფენს ზღვის მოლივლივ გულ-მკერდს... და მათპირდაპირ ზღვას სხივათ ოქროს ფერი ზოლი გადაფენია და სამოთხის შორეულ გზასავით თავისკენ იზიდავს, თითქო ეუბნება: გამომყევით და ედემის სანატრელ ბაღში მიგიყვანთო...

გრიშა თავის საყვარელ სიმღერას არაკრავებს:

„ ვით არწივი მზისკენ მსრბოლი, ოქროს სხივით განბანილი,

ფთებსა სწურავს, ლაღათ კურავს,

მზეს უყივის ფთა-გაშლილი, —

ჩვენც ამ გვარათ მზისკენ ვილტვით.

სულს გვიხუთავს ბნელ-წყვედიანი;

მაშინ ვილხენთ, როს ფთებს გაშლის

გულ-წითელა განთიადი“...

რა შევნიერთ მღერის გრიშა! მელანო-კი ქვითინებს, ბედნიერაა და ტირის...

— რა გატირებს, გულო?

— არაფერი, გენაცვალე! ისე ჩემდაუნებურათ ვადმოჩქევს ცრემლი...

— ნუ, ნუ, გულო, ნუ ტირი! ცრემლები, აბა, რა ჩვენი საქმეა!.. გაიხედე-ხო ჩედავ იმ სწრაფათ მსრბოლ ფირუზ ზღვის ტალღას? აი, ეგერ!.. შეხედე, როგორი მოურიდებლობით ეხეთქება იმ მაღალ, ხავს მოდებულ ქვას, რომელიც ზღვის პირათ ამართულა. აგერ, მთელი თვისი ძალ-ღონით იფეთქა, თეთრ, ბწყინვალე შეხვევებათ დაიმსხვრა და უკან დაიხია... მარა, ჩედავ, ისევ ძალა მოიკრიფა. ისევ ენარცხება... და ასე განაგძობს მანამდი, სანამ იმ ხავს მოკიდებულ ქვას არ წალეკავს... ხო გაიგე, ჩემო კარგო?

— კი, სიცოცხლევ!

და არც შემდეგ შეჩერდება იგი, მისი დანიშნულება-ყოველნაირ ზღუდეებთან ბძოლას; ის წინ, სრული თავისუფლებისკენ მიისწრაფის...

— ჰო, სრული თავისუფლებისკენ, ჩემო არწივო!..

უცებ, ბაღში მუსიკის ხმა გაისმა... მელანო შეკრთა... მოგონება გაქრა...

მისი თვალები მუსიკასთან ახლო მოთამაშე ბავშვებზე მიიპყრეს.

„ვიშ, რა ტურფათ დანავარდობენ და დათამაშობენ ეს მალხაზი ბავშვები! როგორ უღარდელათ კისკისობენ... აგერ, ის ოქროს თმიანი გოგონა, როგორ მოძიხბლავათ დაქრიალობს... გამოსახული ანგელოზია...“

და ამ ბავშვთა უღარდელმა ნაფარდმა შორეულ მომავალში გადააფრინა მისი ოცნება. — გრიშა და მელანია საბავშვო ბაღში სეირნობენ... ხოლო თმა-ხუჭუქა კოლია-კი მათ წინ მითამაშობს... დიდებულის, საუცხოო ვარდ-ყვავილებით გაშენებული სურნელოვანი ბაღია... ყოველ ბილიკს პატარა, მოლივლივე ნაკადული ჩაურბის და მისი დუღუნი ფათოლოთა სამურ შრიალში ინთქება. მოფარფატე ფრინველთა გუნდები ტკბილათ კიკიკობენ, არავის არ უფთხიან და თავისუფლათ მიმოფრინავენ... და ეს ედემის-ებური ბალი სავსეა ორთავე სქესის ბავშვებით და მათი განდებებით. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ არიან დაყოფილნი; ზოგი იმღერის, ზოგი თამაშობს, ზოგი გამდელს გარს შემოხვევია და მის ლაპარაკს სულ-განამული ყურს უგდებს...

— მელანო!

რა იყო, გრიშა!

— შივაბარათ ჩვენი კოლია საბავშვო ბაღში... ჩვენ ისე ვერ აღვზნდით მას, როგორც აქ, ამ საუცხოო ბაღში აღიზნება იგი...

— რას ამბობ, გენაცვალე! ჩემ ბიჭიკოს არას გზით არ მოვიშორებ!.. კი, თქმა არ უნდა, რომ აქ შესანიშნავათ ზდიან ბავშვებს. მარა მე მაინც ვერ მოვშორდები ჩემ კოლიას.. მე თვით უნდა აღვზარდო იგი... როცა ცოტათი კიდევ წამოიზნება, მაშინ სკოლაში შევიყვანო, და მანამდე-კი ჩემსავით ვინ მოუვლის-ვინ მიუალერსებს ჩვენს იმედს..“

უცებ, ვიღაცას ხმამ შეაკრთო იგი და მის ოცნებასაც ფთები შეექრა...

ვით დაბურულ ტყეში ხის ტოტზე ობლათ მჯდარ თვლემარე ფრინველს გამოაფხიზლებს, შეაკრთობს და შიშით გამოახედებს მისი მოსისხლე მტრის-მონადირის მიახლოვება, — ისე

აუკანკალა გული იმოდენა ხალხში ობლათ მყოფ, წუთით თავ-დავიწყებულ მელანას იმ უცნაურმა ხმამ, რომელიც ელდასავით დაეცა მის მიძინებულ გონებას და გარშემო მიმოახედა...

— რისთვის არ მაქცევთ ყურათლებას, შვენიერო! რამდენი ხანია აქ ვზივარ და ღვთაებასავით შემოგყურებ. რამდენჯერ მოგესალმეთ, მარა თქვენი ყურათლების ღირსი მაინც ვერ გავხდი. . რაღაც ღრმა ფიქრებს გაუტაცნიხართ. — ეუბნებოდა მას მის გვერდით მჯდომი უცნობი ყმაწვილი, რომელიც რაღაც არა ბუნებრივად, ზიზღის მომგვრელათ ხუჭავდა თვალებს და უშნოთ იღიმებოდა.

მელანოს შიშ მორეულ ზიზღის ჩდილმა გადაურბინა სახეზე, თითქო შხამიან გველს შეხედა და არა აღამიანს...

... ოხ, რა შვენიერი თვალები გაქვთ!.. სად გაიზარდეთ ასეთი გულ-წარმტაცი?.. რა არი, ლამაზო, ასე გაკვირვებით რომ მიცქერ?.. წამოძანდით, ვახშამი მიირთვით... რომ იცოდეთ, რა შვენიერი სასტუმროა...

— კარგი! ხმა ჩაიკმინდე, საზიზღარო! — გააწყვეტინა სიტყვა მელანომ, — ვინ მოგკანება, რომ ასეთ შეურაცყოფას მაყენებ?.. ვახშამზე მპატიყებს!.. დახეთ, რა გულ-კეთილი ყოფილა! სურს გაკვირებულ აღამიანს დაეხმაროს!.. ფუ შენს კაცობას! — ზიზღით წამოიძახა მან და სწრაფად გაშორდა იქაურობას...

მონადირე ყმაწვილი-კი პირველათ შეკრთა, თითქო გაუკვირდა მახეში გაბმულ არსების ასეთი თავხედობა, და, შემდეგ, რაღაც თავისებური ღიმილით მოსეირნეთა ჯგუფში გაერია...

შეურაცყოფილი და აშფოთებული მელანო აჩქარებული ნაბიჯით ბაღის კარებს უახლოვდებოდა. იგი ხშირათ იხედებოდა უკან, თითქო ეშინოდა, ხომ არაეინ მომდევსო, და გულის ღვეით საითღაც მისწრაფოდა... და, როდესაც ბაღის კარებს გაცილდა და თავი მარტოთ იგძნო, მხოლოთ მაშინ შეჩერდა წუთით...

— რა ვქნა?.. სად წავიდე? გულის ტკი-

ვილით გააფიქრა მან და ზღვისკენ წავიდა...

აგერ, სასო-მიხდილი, უღონოთ ჩაიკეცა დამწვინდებულ ზღვის პირათ და მწარეთ, გულ-ამოსკენით აქვითინდა... მის გულში დაგუბ-ებულმა შხამმა ცრემლის გუბეთ გაიღესა და ღვარებათ ფრქვევა იწყო...

დიდხანს-და ღიდ ხანს ტიროდა იგი... მხოლოთ, აგერ, გათენებისას მიეძინა ცივ მიწაზე სულითა და ხორცით დაქანცულ და ყველას მიერ მივიწყებულ უბინაო ადამიანს... თვარეც-კი აღარსათ ჩდა, რო მას მაინც მოეფინა მისი ნათელი სხივები ცხოვრების ზღვის ღელვით, ზღვას ნაპირზე გარიყული ქალისთვის...

მას მხოლოთ ზღვის ცელქი სიო დაფარ-ფატებდა თავს და თვისი ნაზი ქრალით, თითქო საძილისპიროთ ზღაბრებს ჩაჩურჩულებდა: ხოლო ტალღებ ჩხრიალა მუქი ზღვა, თითქო ტკბილ ნანას უგალობდა თვისი შეუსვენებელ ზვირთების შუილით...

V I

მკრთალი სიბნელე ლალ-იაგუნდით მოკე-დილ ციან ღამისა მოეღვარე განთიადის ბწყინ-ვალე სხივებით იმსკვალებოდა; ღამით შობი-ლი მუქი ნისლი თრთოლვა-კანკალით მალლა, მალლა შიკურავდა, ნამებათ დნებოდა და მზის მოახლოვებით გამოცოცხლებულ მიწის მწვანე გულ-მკერდს მოციმციმე მძივებთ ეფრქვეოდა. ხოლო სხივ-მოსილ ცისკლურზე თან-და-თან გულ-წარმტაცათ იფურჩქნებოდენ ნაირ-ნაირ სხივთა ყვავილები, რო ქვეშ გაფენოდენ აპ-ალონის ბწყინვალე და სწრაფათ მსრბოლ ეტ-ლს... ზღვის ტალღებზე მონავარდე ნიავმა, ღამით რო ნელა დასისინობდა, ფთა იცქვიტა, მარდი ფთებით მთელღამე ხის ფ ათლებს ჩა-უქროლა, დილის ამბორი უძღვნა, ააშრიალა და, შემდეგ, მიძინებულ ქალაქსაც შემოუქრო-ლა, განთიადი ახარა და გასადგობლათ მოუ-წოდა... და მიყუჩებული ქალაქიც შეინძრა, ახმაურდა... გაისმა ქარხნების საყვირთა არეუ-ლი ხმები, რომელთაც მწუხრას ზარივით გაი-ზუზუნეს სივრცეში და შრომის შვილთ გადას-ახეს: მოისწრაფეთ, შრომის ქარ-ცეცხლში გა-

ენხვით, თორე ულუკმო პუროთ დარჩებითო!.. და ღამის ღუმლით გარე მოკული ქუჩა აბო-ბოქრდა... ნავითთ და ქუჩყით გასვრილ ტან-თსაცმელიანი მუშები ქარხნებისკენ მიისწრაფი-ან... ზღვის პირათ მომუშავე გემების დამტვი-რთველმა მუშებმაც მოიმხვეს ზურგზე თავიანთი კურტნები და ოთხათ წელში მოხრილებმა დაიწყეს უზომო ტვირთის ზიდვა...

მოგიზგიზე ცეცხლის ბურთი სწრაფათ ამოგორ-და გალაქლაქებულ ცისკრიდურზე და ალ-ნაკა-დათ მფეთქავი სინათლე სხივთა ისრებათ მოა-ფრქვია დედა-მიწის ზურმუხტ გულ-მკერდს...

და ზღვის პირათ ობლათ მიძინებულ მე-ლანას, რომელიც ღამის სიცივისგან მიკუ-რჩხნულიყო, მზის მხურვალე მხივებმა სახე გა-უეღვარა, ძილი დაუფრთხო და გამოადვიდა...

მან-უგძნობლათ დააშტერა თვალეში ზღ-ვას და დიდხანს, დიდხანს იცქირებოდა ზღვის სივრცეში, თითქო იქ სურდა ამოეკითხა მისი იქ ყოფნის მიზეზი. ხოლო ზღვა-კი წყნარათ ირხეოდა, იკლავებოდა და ამოშავალი მზის ბწყინვალე სხივებით გაშუქებულ ლაქვარდ ტალღებს ნაპირისკენ ნელა მოაგორებდა; და ეს ლალათ მსრბოლი ტალღები, რომ ეფეთქე-ბოდენ ნაპირს, მყისვე დაიმსხვრეოდენ, მზის სხივთა ქსელში მოციმციმე წვეთებათ გაიბნე-ოდენ და ისევ თავის მშობლის-ზღვის წიაღში ინთქებოდენ და ეს მათი გამუდმებული ბძოლა შემზღუდველ ნაპირთან ჩამოგავდა ადამიანის მუღმივ ბძოლას, თავ-განწირულ ბძოლას ბედ-ნიერებისთვის... ადამიანიც ასე გაბედულათ მიილტვის ბედნიერებისკენ, იმედი აქვს, რო მიზანს მიაღწევს; მარა, ვით ის ზღვის ლალი ტალღა მოულოდნელათ ნაპირს დაეჯახა და დაიმსხვრა, ისე იმსხვრევა ადამიანის იმედები, და ისიც, ვით ზღვის დამსხვრეული ტალღა, უბრუნდება მის დედას-მიწას და მასში ინ-თქება. ხოლო ლტოლვა ბედნიერებისკენ არ სუსტდება და, ვით ზღვის ტალღები, ხან გა-შმაგებით, ხანაც ღუნეთ ეხეთქებიან ნაპირს, ისე კვლავ განაგძობს ადამიანი სწრაფვას ბედნიერებისკენ და, ვინ იცის, როდის მიაღ-წევს, თავის მიზანს!..

მელანია თან-და-თან ერკვეოდა, თვალწინ ეხატებოდა სინამდვილე-მისი, უმწეო მდგომარეობა; და, როდესაც სრულიათ გამოერკვა, სწრაფათ ზეზე წამოდგა, „ღმერთო, სად გამითევია ღამეო!“, წამოიძახა და გულის მწველ ფიქრებს მიეცა...

...რა ვქნა?... რა გზას დავადგე?...—თავისთვის ამბობდა ის და აქით-იქით მიმოდიოდა... დიდი ხნის ფიქრის შემდეგ— „ერთხელ კიდევ ვსცდი და, თუ არაფერი გამოვიდა, მოარჩა!“—წამოიძახა მან და „ქალთა ბაზრისკენ“ გაეშურა...

დილის ცბრა საათი იქნებოდა, როცა მელანია „ქალთა ბაზარში“ მივიდა. იქ უკვე ტევა აღარ იყო. საქმის მძებნელი ქალები ჯგუფ-ჯგუფათ შეკრებილიყვნენ და ბა სობდენ; თან ხშირათ გარშემო ინებებოდენ, რათგან შოუთმენლათ შვამავალს მიელოდენ. მელანია ერთ ჯგუფს შეუერთდა და მათ ბაასს ყური დაუბლო.

— რა ქენი, დაო, კიდევ ვერ იშოვე საქმე?— ეკითხებოდა ერთი ხანში შესული ქალი ძაღვზე გამხდარ, თვალზე ჩაცვენით ახალგაზდა ქალს.

— ვერა, დაო!— ამოკენესით უპასუხა მან, — გუშინ უკანასკნელი გროშებით ბაღანას პური და რძე ვუყადე... დღეს-კი აღარაფერი გამაჩნია და, რა ვქნა, აღარ ვიცი... ბაღანა მაინც არ მყავდეს ავით!... მომიკვდება ჩემი გოგონა, თუ რამე ვერ ვიშოვ! — ცრემლ მორეულათ ამბობდა იგი...

— ქალო, სონას ამბავი ვაიგე? — ეკითხებოდა მესამე ქალი თავის ნაცნობს, — გუშინ „გამოჩინსტული“ მიყვებოდა ვიღაც თათარს... ერთი კვირის წინათ შიმშილით კვდებოდა და ახლა კნიაფნას დამსგავსებია... დაიღუპა უბედური!.. აწი მისი შველა აღარ შეიძლება!.

— რამ დაღუპა? შიმშილით რო მომკვდარიყო, განა ის უკეთესი იქნებოდა?

— ეჰ, ჩემო დაო, შიმშილით მკვდარი სჯობია, უსულო კოცხალ ღეშს!.. განა მისი სიცოცხლე, სიცოცხლეა!?

უცბე, ქალები შეინძრენ და მათქენ მო-

მომავალ შვამავლისკენ გაეშურენ...

შვამავალი — ქალა, თვალზე დასისხლიანებული კაცი, რაღაც თავისებური ღიმილით უახლოვდებოდა მათ და ქუჭკუიანი ხელით უღვაშს იჩიქნიდა. ხოლო უსაქმობით გაშმაგებული ქალები ერთმანეთს აწვებოდენ, იბიძგებოდენ და უზრუნველათ მდიმარ მოხუცს გარს ეხვევოდენ. ყველა ცდილობდა რომ სხვისთვის მიესწრო და მოხუცისთვის ალაგი ეთხოვა... ხოლო მოხუცი ჯერ არაფერს ამბობდა, შემდეგ-კი, როცა ქალებმა კითხვით თავი მოაბეზრეს, საერთოდ გამოაცხადა:

— რას ჩამაცივდით, თქვე ოჯახქორებო! არ არის არსად ალაგი და მე ხო ვერ გავეტადვ!.. საქმის მძებნელი თან-და-თან მატულობს და საქმის მიმცემი-კი თან-და-თან კლებულობს... არ არის ალაგი, არა...

ამ განცხადებამ თავხარი დასცა ქალებს: ბევრი აქვითინდა და ახლო-მახლო თავ-ჩაქინდრული ჩამოჯდა. ზოგი-კი არც ახლა ეშვებოდა მოხუცს და კვლავ რაიმე საქმის შოვნას ეხვეწებოდა.

მელანომ, რათგან სხვებივით ბიძგი და წინწასრება არ შეეძლო, დიდხანს ვერ მიატანა მოხუცამდი. მას გული არ უშვებოდა, რომ მისივე ბედში მყოფ ადამიანებისთვის წინ გაესწრო და ხელიდან ლუკმა პური გამოეგლიჯა... და; აი, ეს იყო წინათაც ერთი მიზეზთაგანი, რომ-ის ნუდამ უაღაგოთ რჩებოდა, რათგან სხვები ზდილობას არ დაგიდევდათ და გაშმაგებით მიროდენ შვამავლისკენ. ახლაც ასე მოუვიდა: იგი მხოლოდ მაშინ მივიდა მოხუცთან, როდესაც თითქმის ყველანი ჩამოშორდენ.

— ბატონო, იწამეთ ღმერთი და მიშოვეთ რამე ალაგი... საშინელ მდგომარეობაში ვარ... — შეევედრა მოხუცს, შვამავლმა კმაყოფილათ ახე-ჩახედა მას და ღიმილით უპასუხა:

— არ არი, ღამაზო, ალაგი, თორე შენთვის თავს როგორ დავიშურებ... მარა, ან კი რად-გინდა შენ ალაგი და სამსახური, როდესაც თითო კოცხალში თითო მანათს მოგცემენ... ხე, ხე, ხე... — ჩაიხიოქითა მან და მელანიას დააბტერდა. — მას პირველათ არ სმენია ასეთი



საზიზღარი პასუხი. მარა ისე დამამკირებლათ და სულის მკოდველათ მოქმედობდა მასზე იგი, რო ვერ შეეჩვია, და ახლაც თლად ათრთოლდა, გული აუფანტკალდა და ზიზღით გაშორდა გარყვნილ მოხუცს...

მაღე მეორე შეამავალტ-შეახნის ებრაველი, გამოჩნდა. მასაც მყისვე გარს შემოეხვევენ მთხოვნელები... შემთხვევით ჩვეულებრივზე ადრე ჰიაღწია მელანომ მასთან, და სრულიათ მოულოდნელათ მასგან ერთი ოჯახის მისამართი მიიღო, სადაც მოსამსახურე ესაჭიროებოდათ. რა საკვირველია, ამ მისამართისთვის, თუ აღიავრე დადგებოდა, მისთვის შესაფერი სასურდელი უნდა მიეტა...

გახარებულა სწრაფათ გაეშურა მისამართში აღნიშნულ სახლისკენ... გულის ფანტკალით ისწრაფოდა გაეგო, თუ როგორ გადაწყდებოდა უკანასკნელათ მისი ბედი, შეიძლება, თუ არა რომ ამ მტანჯველ ქვეყანაზე კვლავ ეცხოვრა და მისი ბიჰეკოს გაზდას მოსწრებოდა?... ჩაქარობდა და თან ეშინოდა-ვაი, თუ უარი მითხრანო!.. იგი თითქო უცხო ფრინველს მისდევდა, რომელსაც, თუ ხელს შეახებდა, აუცილებლათ, მოკლავდა და თავას თავსაც დაღუბავდა. მარა ხელი რომ არ ეხლო, ესკი არ შეეძლო, და მისწრაფოდა, ჩქარობდა მელანია...

აგერ, იგი მივიდა მისამართში აღნიშნულ სახლთან, კარების წინ გაჩერდა, ელექტრონის ზარის დილს აკანკალებული თითი დააჭირა და ცდა დაიწყო...

აგერ, კარიც გაიღო... და მელანო მდიდრულათ მორთულ სასტუმრო ორახში მჯდომ ქალბატონს კრძალვით წინ წარუდგა. ქალბატონმა ძველ ტანსაცმელით მოსილ ქალს რომ თვალი მოკრა, წარბები შექმუნხა და პირქუშათ შეეკითხა:

— რისთვის მოსულხარო?

მან დაწვრილებით აუხსნა მისი აუტანელი მდგომარეობა და მოსამსახურეთ მიღება თხოვა. იგი მოუთმენლად ელოდა ყოფნა არ ყოფნის ვადამწყვეტ პასუხს.

— სამწუხაროთ, აქვენი თხოვნა არ შემე-

ძლია შევასრულო, რათგან მოსამსახურე გუშინ უკვე მივიღე...

ჰო, რა მტანჯველი, რი საშინელი იყო მელანოსთვის ეს პასუხი!..

მისი ისედაც მთოლვარე გული კიდევ უფრო ათრთოლდა, სული შეეხუთა... და ლასლასით უსიტყვოთ გარეთ გამოვიდა...

მარა, აჰა, გული თან-და-თან დაუყურდა: დიდი ხნის გადაუწყვეტელი მწყავე საკითხი გადაწყდა, და მან უმიზნოთ დაიწყო ხეტიალი ქუჩიდან ქუჩაში...

დიდ ხანს დადიოდა იგი ქალაქის მოუსვენარ ქუჩაში და არაფერს-კი ყურათღებას არ აქტევდა: მისთვის ერთი იყო: „დროგი“ მიხრიგანობდა, ეტლი მიქროდა, თუ ტრამვაის ვაგონი მისრიალობდა... მარა, აგერ, წუთით შეჩერდა იგი და ნაირ-ნაირ მინების კოლოფებში გამოფენილ მადის აღმძვრელ საქმელებს დაშტერდა... ყველაფერზე უძლიერესმა ძალამ-შიმშილმა, რომელიც მარათ თავის ნებაზე ატრიალებს ადამიანს, შიაჩერა იგი და, ტანჯვის ზღვით გარემოცულს, ქამის მადა აღუძრა... აგერ, მეორე დღე იყო, რაც მას არაფერი უჭამია და მისდაუნებლიეთ, შეუმჩნევლათ დააშტერდა იგი მადის აღმძვრელ საქმელებს...

— რა გნებაეს, ქალბატონო! — შეეკითხა მას „რესტორანიდან“ გამოსული ახალგაზდა-მელანო შეკრთა, სირცხვილით სახე გაუელვარდა, თოთქო ქურდობაზე დაიჭირესო, და სწრაფათ უსიტყვოთ უკან გამობრუნდა...

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — გადაიხარხარა ახალგაზდა და მის ხარხარს სხვა ხმებიც შეუერთდა...

და ეს ხარხარი შხამის ისრებათ ხედებოდა მელანოს ტანჯულს გულს: მან თითქო რაღაც ახალი, ჯერ განუცდელი საშინელი ტანჯვა იგძნო. მას არა ერთხელ სმენია საზიზღარი ხითხითი, არა ერთხელ განუცდია დაცინვა; მარა მისი გული ასე არ ვახვეულა ტანჯვის ცეცხში, ასე არ აღეღვებია სული...

ხა, ხა, ხა, ხა!... — ჩასწიოდა მას ის ხარხარი და მის გულს, თითქო ვახურებული მწველი რკინის საღტეები გარს ერტყმოდენ.

— ხა, ხა, ხა, ხა!... — იმეორებდა სივრცე, და

მისი სული ამ ქვეყნათ აღარ დგებოდა. შორს, შორს მისწრაფოდა...

— ხა, ხა, ხა, ხა!...- ხარხარობდენ თითქო მალალი სახლები და მელანიას სულთა მხუთავად თავს დაჩერებოდენ... და ისწრაფოდა, გარბოდა იგი...

აგერ, იგი მივიდა იმ ადგილას, სადაც ღამე გაათია... შეჩერდა... ერთხანს ზღვის სივრცეში იტკირებოდა და, შემდეგ, იქვე უღონოთ ჩაიკეცა...

— რა ვქნა?... როგორ მეძნელება!.. სხვა გზა კი არ არი... გარყვნილებას ვერ მივცემ თავს?... აკი ყველა იმას ჩამჩურჩულუმს-ლამაზი ხარ და ღამაზიო! ორში ერთი დამჩენია: ან თავი უნდა დავიხჩო, ან გარყვნილების მორევში უნდა ჩავიძირო... არა, არა, გრიშას მელანო მაგას არ იზამს... დე, ზღვამ ჩამნთქას, ვიდრე გარყვნილება ჩანთქადეს!.. რაღას ვაგვიანებ!.. ასეთ ცხოვრებას ვანა სიკვდილი არ ჯობს? მართლაც, რა საშინლათ არი მოწყობილი კაცთა ცხოვრება; გინდა იშრომო, შენი ძალა გაყიდო და სამუშაო ვერ გიშოვია, ძალის მყიდველი არავინ არი... არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია! ეს საშინელებაა!.. ღმერთო, რაზე ვფიქრობ!.. ჩემი კოლია, ჩემი ბიჭიკო... იმას ენაცვალოს დედამისი! ნეტავი, ერთი მანახვა ახლა!.. მშვიდობით, შვილო, ველარ განახვ აწი!.. სამუდამოთ გშორდები, გულო!.. ოხ, როგორ მინდოდა შენი გაზდა შომსწრებოდა.. მარა, ვინ დამაცალა, გენაცვალე!.. გრიშა, ჩემო სულის დგმავ, შენთან მოვიდივარ, სიცოცხლე! შენ რო დამშორდი, მას შემდეგ, ჩემი სიცოცხლე აღარ არი. ყველას ფეხქვეშ ვასათელავათ ვუნდივარ. ჩვენი ბიჭიკო კი ჯერ ჩვილია და, როგორ დამეხმაროს მის ბედკრულ დედას!.. მშვიდობით, შვილო, მშვიდობით, ჩამო იმედო!.. გტოვებ, შემოგველე... გტოვებ... გაიზარდე და მამა-შენს დამსგავსე, მისი ცხოვრება ვანაგძე, ჩემო ბიჭიკო!— უკანასკნელათ წამოიძახა მელანომ, საჩქაროთ წამოდგა, ცოტა გაიარა და მოწყვეტიო ზღვაში გადაეშვა...

ზღვა იმ ალაგს, სადაც მეოანია ჩაიძირა, ერთი შეინძრა, აბუყბუყდა, თითქო რაღაცა

წაიბუტბუტაო, და, შემდეგ, ისევ ჩვეულებრივად დაიწყო ტალღებათ ნაპირისკენ სროლა...

ხოლო ბალიდან მუსიკის ხმა და სიცილი-ხარხარი მოისმოდა...

ობოლი მუშა.

## ს ა დ ღ ე ი ს ო .

### მ რ ო ბ ა .

დიდი და ღრმა ცვლილება, რომელიც თან მოყვა ბატონ-ყმობის გადავარდნის საქმეს რუსეთსა და ჩვენშიაც, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა გადასხვაფერებას ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებისას, რომელიც ასე, თუ ისე უკავშირდება ხალხის ცხოვრებას. და, მართლაც, ეს ასეც მოხდა. ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა ძირითადი ცვლილება და განახლებულ ცხოვრებას დაბერა ახალმა ცხოველმყოფელმა სიომ...

გათავისუფლებული მუშის დაქირავებულ ხელებით შექნილმა საქონელთა (товарное) მეურნობამ, რომელმაც ბოლო მოუღო წოდებათა ძველებურ მდგომარეობას, შეამუშავა სხვა და სხვა კანონდებულებანი და ნორმები. აი, ამ კანონდებულებათა და ნორმების საზღვარში უნდა ჩამდგარიყო ბატონ-ყმობის ეპოქის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი კლასები.

ბატონ-ყმობის დროს, მთავრობა თავდაზნაურთა, ე. ი, უპირატესი წოდების დახმარებით აწესრიგებდა საზოგადო ცხოვრებას.

ამ უპირატესი წოდების გაუქმების და შინა-ყმების გათავისუფლების შემდეგ, როცა საზოგადოებრივ კლასთა არსებობის ხანა დადგა და საქონელთა წარმოებამ დიდათ გაართულა, აამოძრავა ცხოვრება, ამ კლასთა შორის დამოკიდებულების გაწესრიგება და კანონიერ საზღვრებში ჩაყენებაც ერთობ გართულდა და ძალიანაც გაძნელდა მთავრობისთვის..

მაშინ საჭიროთაც დაინახეს, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიც მიუყვებოდნენ, მიხმარებოდნენ მთავრობას. ამ

ორგანოების შემწეობით, რომელნიც ძალიან კარგათ იცნობდნენ და პირ და პირაც შეესაბამებოდნენ საზოგადო ცხოვრების ახალ პირობებს, მთავრობას სურდა წარემართა დიდი და რთული სახელმწიფო და საზოგადო საქმეები. ასეთ ორგანოთ არი მიღებულია **ერობაც**.

ერობის მოქმედობაც უნდა გამხდარიყო ძალიან რთული და მრავალ-გვარი. ამ ორგანოს დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რო დააკმაყოფილოს მრავალ-გვარი ადგილობრივი მოთხოვნილებანი, რომელნიც აღმოაცენა ახალმა ვართულებულმა ცხოვრებამ. ერობის ერთი უმთავრესი დანიშნულება და საგანია ხალხის მეურნობას, მისი ეკონომიური ცხოვრების გავითარებას რო დაეხმაროს და წარმატებაში შეიყვანოს. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, ხალხის მეურნობამ საქონელთა წარმოების ხასიათი მიიღო.

ერობაც, რამდენათაც იგი გავლენას პოულობს და ზედ-მოქმედებას იქონიებს ეკონომიურ ვითარებაზე, უნდა ცდილიყო და ემოქმედა, რო დახმარებოდა მეურნობის ახლად გარდაქმნის დიდ საქმეს, საქონელთა წარმოების პროცესს.

თვით ის ცხადი გარემოება, რო ვადასახადი დაედება მცხოვრებლებს ერობის მრავალ-გვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, იძულებულს ყოფს ყველას, ნაწილი თვისი მოსავლისა, მაგალითად, ქირნახულისა, ღვინისა, ხილისა, ბოსტნეულისა, ერთი სიტყვით, ქონებისა, გაიტანოს **ბაზარზე**, რო გაწეული ხარჯების დასაფარავათ როგორმე საჭირო ფული იშოვოს. ყოველი გროში, რომელსაც-კი დახარჯავს ერობა თვისი საქმისთვის, იმის მომასწავებელია, რო საქონელთა წარმოების, აღებ მიცემობის სფერო გაფართოვდება. მაგალით მხარეში, სადაც ერობა არსდება, იწყება მიმოსვლის გასაუმჯობესებლათ დიდი მარაგი და მზადება, სწავლა განათლების საქმეც თვალსაჩინოთ ფართოვდება, სოფელ-ქვეყნის მკვიდრთა მკურნალობა თანამედროვე კულტურულ პირობებში ნიადაგს პოულობს, და მთელი ქვეყნის მეურნობა, ვაჭრობა გაჩქარებული

რებული, ძლიერის ნაბიჯით წინ მიდის და ვითარდება. ყოველი ზომები და კულტურული იარაღები, რომელნიც მალა ასწევენ მთელი მხრის ეკონომიურ კეთილდღეობას, იმის წარმოების საქმეს, გაადიდებენ, გააფართოვებენ, დააჩქარებენ აგრეთვე საქონელთა მეურნობის წარმატების დიდ საქმესაც, და ამით ძველებურს, კარჩაკეტილს, დაყრუებულ ცხოვრებასაც ძირს უთხრიან.

რასაკვირველია, ასეთი მოვლინებაც ცუდათ მოქმედობს წვირად, შეუძლო მეურნეზე, კერძო, პაწია მოსაკუთრე გლეხებზე. ისინი უარესათ დატყავებიან, ღარიბდებიან და ამ გარემოების ძალითაც გლეხკაცობაში ჩდება დიდფერენციაცია, განაწილება, ერთი მხარე დიდდება, ხოლო მეორე, დიდი უმრავლესობა ღარიბდება, ვალებში ვარდება. მარა ამის შიში სულ ტყუილა ავარდნია თავში ზოგიერთ ჩვენებურ პუბლიცისტებს, რომელნიც, ვით ტუტიათა მოტრფიალენი კაპიტალიზმის შიშით, დღესაც, ხალხის კეთილ-დღეობისთვის ნიანგის ცრემლებსა ღვრიან და საქვეყნოთ გაიძახიან, რო „ჩვენ ამ მხრით ვეწინააღმდეგებით ერობასო“...

ნუ თუ ამ პუბლიცისტებმა არ იციან, რო ზემოთ დასახელებული პროცესი ჩვენებურ გლეხ-კაცთა ცხოვრებაში უერობოთაც უკვე დაიწყო და იგი პროცესი, თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების კანონების თანახმად, აუცილებელია. ერობა მხოლოთ ეხმარება ამ აუცილებელ ევოლიუციას და, თუ მაინცა და მაინც გნებავთ, ევოლიუციის ასპარეზის არსებობისა, გაფართოებისა და გაღმავებისთვის ყველა ჩვენთაგანს დაინტერესებს და დიდათ აამუშავებს. მა ხრით თვით ხალხი გაუწყვეს ანგარიშს ამ მოვლინებას, როგორც სხვაგანც იქცევიან და, მაშასადამე, არამკითხე ქირისუფლობა ხალხისა ჩვენში უსაფუძვლოა ამსაქმეში.

ეგ შიში ჩვენებურ პუბლიცისტებისა სხვა მხრივაც უსაფუძვლოა... მარა ვიკმაროთ ამ ჟამად ეს, რაც ითქვა აქ. წარმოებაში ტენიკის გავითარებას, მიმოსვლის გაადვილებას გზების გაყვანით, რო ნამუშავარი კაცმა ბაზარ-

რზე გაიტანოს, რა თქმა უნდა, იმ შეძლებულ და გამდიდრებულ კლასებისთვის აქვს მნიშვნელობა, რომელთაც გაავითარეს ტენიკა, გადავიღეს წარმოება და ბაზარზე გასაყიდათ გამოიტანეს საქონელი მიტო კი არა, რა გაზაფხულზე ისევ იყიდონ თავიანთი გაყიდული ნაჭირნახსულები.

ბაზარზე გამოსვლით მოიპოვა თვისი ცხოვრების წყარო შრომის გამყიდველმა, მუშამ და აგრეთვე საქონლის გამყიდველმაც. შრომის გამყიდველმაც ისე, როგორც საქონელი, მარტო ბაზარზე პოულობს მუშტარს და მუშის ხელფასიც აქ გადაწყდება ხოლმე. ბაზარი აფასებს მხოლოდ დიდ და მწარმოებელ, ნაყოფიერ შრომას. ამიტომაც ერობა, რამდენათაც იგი მოქმედობს ქვეყნის ეკონომიასა და მეურნობაზე, უმთავრესათ, ეხმარება შრომის წარმოების გადიდებას, განაყოფიერებას. აი, სად არი დიდი მადლი ერობის. ერობა, მაშასადამე, თუმცა გამოიხატევიდა და იარაღი „შეძლებულ თავად-აზნაურთა და მდიდარ გლეხკაცობის და იმათ სარბიელათ არი გადაქცეული“, ერთი სიტყვით, შეძლებულ კლასთა ინტერესების გამოიხატევიდა, მარა მთლად კი ერის ეკონომიურ ცხოვრებაში იგი მაინც დიდ და პროგრესიულს ორგანოს წარმოადგენს, რათგან დახმარებას უწევს ტენიკის გაავითარების დიდ საქმეს.

ამიტომაც, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა თვით მთავრობამ საქვეყნოთ აღიარა ერობის საჭიროება ჩვენში, ყველას დიდი სიხარულით აევსო გული. მეფის მოადგილის განკარგულებით, შედგა ადგილობრივი თათბირი, რომელშიაც დიდ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი ელემენტები. ყოვლამ თავისუფლად ამოისუნთქა და გულს შეება მიენიჭა, რათგან ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მის შემდეგ, საქართველოს მკვიდრს ერობა ეღირსებოდა და არავისაც გულში ეჭვის ნატამალიც არ ქონდა, რომ საქართველო ერობისთვის სრულიათ მომზადებული იყო.

ყველამ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა ბუნებით უხვად დაჯილდოვებული და მეტად მდიდარი

მხარეა მთელ რუსეთის იმპერიაში. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, მეურნობა რომ კულტურულათ ბაღლა აიწვედეს, ტენიკა რომ გაავითარდებოდეს ცოტათი მაინც არის, ამას, უეჭველია, დიდი, ნაყოფიერი ევლილება მოყობა მიწა-წყლის შექუშავების, მევენახობის, მეთამბაქობის, ბაღოსნობის და, საზოგადოთ, მთელი სოფლის მეურნობისა. პროგრესი პირველისა, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა პროგრესს აქ, მეორეგანაც. მაშინ ჩვენი ხალხის შრომაც გაუშჯობესდება, დაფასდება და ბაზარსაც ადვილათ მოიპოვებს. ერობა მოუპოვებს მეურნობის საქმეს საქართველოში იმ ასპარეხს, რომელიც დღეს მას უაპირადლოთ არ გააჩნია და, ამიტომაც, დღეს მთელი ჩვენი ნივთიერი და სულიერი ძალთა დავარდნილობა, დაქვეითება ასე ხმა მალლა დააღაღებს. რაც ადრე და მალე მოისპობა ასეთი ჩვენი ყოფა, რაც ადრე და მალე ქართველთა მეურნობას ჩამოეცლება დღეინდელი მავნებელი საზოგადო ყოფნის პირობანი, მით უფრო მალე წაიწვეს წინ მთელი ქვეყნის მეურნობის წარმოება, მით უფრო მალე გამოვალთ ეკონომიურ კეთილ-დღეობის ასპარეხზე და წელში გავიმართებით...

ამას შეღალაღებდა იმთავითვე ჩვენი ახალი მწერლობა. ქართული პუბლიცისტიკის პირველმა ვარსკვლავმა გასული საუკუნის სამოც დათთან წლებში დასწერა ქართულად სტატია „ერობა“, რომელიც, მახსოვს, კალკე წიგნაკათაც იყო დასტამბული. მას შემდეგ, ჩვენს ქურნალ-გიზეთებს არ შეუწყვეტიათ ამ დიდ დათ საქირო საგანზე წერა, სინამდვილით შემძლია მოგახსენოთ, რომ გაზეთიც არ დაარსებულა ჩვენში, რომ ერობაზე არ დაეგეტდოს სტატია.

ამასთანვე ჩვენმა თავდააზნაურობამაც აღძრა შეამდგომლობა ამის შესახებ ოთხმოციან წლებში და, მას შემდეგაც, მრავალჯერ იყო გამეორებული ეგ შეამდგომლობა...

მინისტრთა საბჭოს „ახალ“ თავმჯდომარეს კი, როცა ის გამოვიდა სახელმწიფო დუმის წინაშე დეკლარაციით, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ჩვენი ქვეყანა... იგი ჩვენ ქვეყანას ტოვებს სრულიათ უყურადღებოთ... ამ ნაირათ,

ცენტრალური მთავრობა ყველას არწმუნებს, თითქო ჩვენ კიდევ მომხადებული არა ვართ ერობისთვის და ამიტომ შესაფერი პირობებიც არ მოიძებნება ვითომ ჩვენში...

ეჰ, რაუნდა ვთქვათ?

ხომლელო.

ფუტურისტი და მახინჯი

რათგანც ქართველმა ფუტურისტებმა (იხ. „ცისფერი ყანწები“) ვერ დაახასიოეთეს სისრულით თვისი მიმართულება, საქაროთ მიგვაჩნია განვიხილოთ იტალიელი ფუტურისტების მეთაურის, ფ. ტ. მარინეტის—მანიფესტი, გამოქვეყნებული „ფიგაროში“ 20 თებერ. 1909 წ.

1 ჩვენ ვუგალობთ განსაცდელს, ენერჯისა და გამბედაობას.

2. ჩვენი პოეზიის უმთავრეს ელემენტებს წარმოადგენენ: მამაცობა, სითამამე და აჯანყება.

3. მაშინ, როდესაც ლიტერატურა დღემდის უგალობდა უმოქმედობას, ოცნებობასა და ძილს, ჩვენ აღვიარებთ თავდასხმით მოძრაობას, გახურებულ უძილობას, ჩქარ სიარულს, საშიშარ ნახტომებსა და მუშტიკრივს.

4. ვაცხადებთ, რომ სოფლიოს შევნიერებას მიემატა ახალი სილამაზე: სიჩქარის სილამაზე.

5. ჩვენ ვადიდებთ ომს, რომელიც არი სოფლიოს ერთადერთი ჰიგიენა, მილიტარიზმს, პატრიოტიზმს, ანარქისტების დამანგრეველ მოქმედებას, შევნიერ იდეათ, რომელნიც კლავენ ზიზლს ქალისადმი.

6. ჩვენ გვსურს მოვსპოთ მუზეუმები, წიგნსაცავები, ზნეობა, კერპები და ყველა ოპორტიუნისტული და მეწვრილიმანური ამოკება.

7. ჩვენ ვუგალობთ ბრბოს, საერთო

შრომით, სიამოვნებისადმი სწრაფვითა და აჯანყებით ამოძრავებულს, რევოლუციის ქარცეცხლს დედაქალაქში, ელექტრონით განათებულ არსენალებსა და ქარხნებს, რომელთა წვერნიც ღრუბელს ებჯინებიან, რკინის ხიდებს, რკინის გზებს, ლოკომოტივებს, ავტომობილებს, ჰაეროპლანებსა და სხ.

8. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ იტალია პროფესორებისა, არქეოლოგებისა და ანტიკვარიების მომაკვდინებელი განგრენისგან. მუზეუმები—სასაფლაოები არიან. ვინც ამ ბნელ მუზეუმებში ყოველდღე დაიარება, ის ცოცხლათ იმარჩავს თავს.

როდესაც თქვენ გზიბლავთ წარსული, დამცირებული ხაროთ და ღონე, ენერჯია გაკლდებათ, რომ შექნათ ახალი რამე.

ყველაზე უფროსი ჩვენ შორის 30 წლისა არის. ათი წლის შემდეგ, ისინიც არქივს ჩაბარდებიან და ახალგაზრდები გამოვლენ მათ წინააღმდეგ და მოკლავენ მათ. და ძლიერი, სრული უსამართლობა სიხარულით გაიღვებებს მათ თვალგში.

შემოგვებდეთ! ჩვენ თავისუფლათ ვსუნთქავთ. ჩვენი გული სრულიათ არა გძნობს დალილობას, რათგან ცეცხლით, ძულეებითა და სიჩქარით კვებულთა.

ჩვენ სოფლიოს მწვერვალებზე ვდგავართ და ბძოლას ვუცხადებთ ვარსკლავებს!“

დაუმატოთ ამას კიდევ ზოგიერთი ადგილი მისი „ფუტურისტული ლიტერატურის ტენიკური მანიფესტიდან“, რომელიც გამოქვეყნდა 11 მაისს, 1912 წ.

1. გეძულს ყველაფერი, რაც ძველია და ნაცნობი.

2. პიროვნებამ უნდა განამრავლოს და გაავითაროს თვისი სურვილები და სწრაფვანი.

3. სრული ფაქტური და უფლებრივი თანასწორობა უნდა დამყარდეს ქალსა და კაცს შორის.

7. სიყვარულს დაეკარგა ფასი, ე. ი.,

სქესობრივმა მგძნობიერობამ იკლო, რათგან ქალი თავისუფალი შეიქნა.

8. სისხლის მღვრელი ომები აუცილებელია, როგორც გამოცდა ხალხის ძალისა.

9. აღამიანას გამრავლება მექანიკური საშუალებით არი შესაძლებელი. ინსტინქტმა, ალლომ, მოტორის სისწრაფე მოიპოვა.

10. შეგვიყვარდა ქალაქი, დიდი გემები, დიდი სასტუმროები და სხ. გადავლახეთ და დავძლიეთ მანძილის სიშორე. და ბუნების შეწინააღმდეგებლად აღარ გვზიზღავს.

11. ჩვენ აღარ გვიანტერესებს მარტო ვიწრო ოჯახური, თემური, ან ეროვნული ცხოვრება, არამედ მთელი სოფლიოს ცხოვრებას ვეზიარეთ სულით.

12. ცხოვრება მოითხოვს აჩქარებას. ჩვენ გვძულს დაგვიანება, წვრილმანები, მრავალსიტყვიანი ანალიზი და განმარტება. გვიყვარს სისწრაფე, შემოკლება, სინტეზი. თქვით, რაც შეიძლება, ჩქარა, ორი სიტყვით.

საჭიროთ მიგვაჩნია მოვიტანოთ კიდევ ზოგიერთი ადგილი ფუტურისტ ქალის, ვალენტინა დეოსენ-პუენის მანიფესტიდან, რომელიც წარმოადგენს ფ. ტ. მარინეტის მანიფესტის პასუხს (25 მარ. 1914 წ.).

1. ქალებს გვაკლია მამაკაცური ვაშუაკობა; უნდა გავთავისუფლოდეთ ქალური კლემულობისგან

2. ქალს, თუ მარტო ქალობა ახსიათებს, მხოლოდ დედალია.

3. არ გვინდა ისეთი ქალი, რომელიც მხოლოდ შობს და არიდებს შვილებს ყოველსავე განსაცდელს და, მამსად მე, სიამოვნებასა და კლავს თვისი ქალიშვილის სიყვარულის თავისუფლებას.

არ გვინდა მეოჯახე ქალი, რომელსაც მხოლოდ პირუტყვეული სიყვარული და მდაბიო სქესობრივი მგძნობიერობა გამრავლების ნიქსა-კი უკარგავს.

4. ჩვენ გვინდა ისეთი ქალები, როგორც

იყვენ: ერინიები, ამაზონელნი, სემირამიდნი, ყანადარკი, იულითი და სხ.

5. ქვეყანა დალბა სიბჭისგან. ქალი თვისი შეუცნობელი ბუნებით არც ბძენია, არც მშვიდობის მოყვარე, არც კეთილი. მხოლოდ, რათგან ზომის გძნობა აკლია, კაცობრიობის ძილის დროს, მეტად ბძენი, მშვიდობის მოყვარე და კეთილი შეიქნება ხოლმე.

6. ქალი—ბრბოს ინდივიდუალობა: გმირებს მიყვება და როდესაც გმირები არ არიან, სულელთ ცემს თაყვანს.

7. ქალი, ან მოწყალეების დაა, ან მებძოლია.

7. ყოველივე დიდი საზოგადო მოძრაობის დროს, ქალს თვისი აფროთოვანებით შეუძლია მებძოლთა რიცხვი ვაამრავლოს.

8. არ არი საჭირო ქალთა უფლებბრივი გათანასწორება მამაკაცებთან, რათგან ეს საზოგადო წესრიგს წარმოშობდა და არა უწყესრიგობას, მოუწყობელობას, რომელიც ასე საჭიროა მოძრაობისთვის.

9. ქალს რო მოვალეობა დააკისროთ, ყოველივე შემოქმედებითი ძალა მოაკლდება.

10. ქალმა უნდა დააბრუნოს კვლავ ძალადობისა და შეუბრალებლობის ალლო, რომელიც აიძულებს მას თავს დაეცეს და გაანადგუროს ძლეული, რომ ამით ბუნებრავ შერჩევას ხელი შეუწყოს. ქალებო! შეიქმენით კვლავ უსამართლონი, როგორც ბუნების ყველა ძალი!

11. მე უარყვავი შებრალებების გძნობა, როგორც საცოდავი სისუსტე, რომელიც ბორკავს და სზობს ენერგიას.

12. გარყვნილება არი ძალა, რათგან კლავს სუსტსა და ამოქმედებს ძლიერს. ყოველ გმირულ ერს აქვს მიდრეკილება სქესობრივი მგძნობიერობისადმი.

12. ქალებო, რომელნიც გაებით ზნეობისა და ცრუმორწმუნობის ქსელში, კვლავ შეიმოსეთ თქვენი შეწინააღმდეგებელი ალლო, ძალადო-

ბა, შეუბრალებლობა.

12. აღზარდეთ შვილები თავისუფლებისა და ბძოლისთვის. მიეცით კაცობრიობას გმირები!

ნათქვამიდან ცხადია, რომ ფუტურისტული ზნეობა — თანამედროვე დიდი სავაჭრო სახლის კომივიოიაცერის ზნეობაა. კომივიოიაცერი ჩქარობს, ფაფაფუტობს, მუდამ იცვლის ბინას, მისი სახლი რკინის გზაა, ან დიდი ქალაქების სასტუმროები, მისი გონების წყარო — გაზეთი, მისი სიყვარულის საგანი — ქუჩის ქალი.

იმავე დროს, ის „უქირია“, ე. ი., კთილობს თვისი მომწყინებელი ფაფაფუტის დროს გაერთობს, ამა სოფლის სიაშენი იგემოს. და ის სვამს, ბანქოს თამაშობს და გარყენილებაში ატარებს დროს.

და ეს ერთობ მდაბიო, ყოველსავე პოეზიას მოკლებული ზნეობა, რომ უფრო საჯერო და სარწმუნო ყოფილიყო და სამოქალაქო უფლება მოეპოვებია, ფერადი საღებავებით შეთითხნეს, შეალამაზეს და მაღალ-ფარდანი-სა და ბუნდოვანი ფრაზებით გამოთქვეს!

თანამედროვე ცხოვრებას ახასიათებს სიჩქარეო, გვეუბნებიან, და სიჩქარე — სილამაზე-აო. მარა ეს შემცდარი აზრია. რამდენათ უფრო მომხიბვლელია ცხენით მოგზაურობა, ვიდრე რკინის გზით?! და, როგორ მოწყენილობას გრძნობს რკინის გზითა და გემით მოგზაური, ვის არ გამოუცდია?!

პოეზია რომ სიჩქარეში იყოს, ფრინველი უფრო პოეტური არსება იქნებოდა, ვიდრე ადამიანი.

პოეზია სიჩქარეში-კი არ არის, არამედ სხვადასხვაობაში და არმონიაში, ე. ი., კეთილ წყობილებაშია.

ჩვენ გვძულს პროფესორები, გძელი ანალიზები და სხ., ბძანებენ ფუტურისტები. მარა სამეცნიერო ანალიზი, რომელიც აუარებელ დროს თხოულობს, რომ არ ყოფილიყო, განა იქნებოდნენ რკინის გზები, ავტომო-

ბილები, და ჰაერობლანები, რომელთაც ფუტურისტები უგალობენ? მერე კიდევ, განა მიკროსკოპით მუშაობა უბრალო მექანიკური მოძრაობაა? და განა თანამედროვე ფიზიოლოგიამ არ გადაშალა ჩვენს თვალთა წინაშე და არ გამოამხეურა ბუნების მომხიბლველი შვენიერება და საიდუმლოება?

ჩვენ გვძულს მუზეუმები, წიგნები, მთელი ჩვენი კულტურული წარსულიო, გვეუბნებიან. მარა, თუ ლაუაზიესი და მეიერის, აქიმედისა, გალილეისა და ნიუტონის, დარვინისა და პასტერისა და მრავალი სხვა მეცნიერის აღმოჩენათ დაივიწყებთ, მაშინ ხო ხელი უნდა ავიღოთ რკინის გზებზე, ორთქლის გემებზე, ავტომობილებზე, ელექტრონზე მკურნალობის ახალ მეთოდებზედაც და სხ.და, თუ შოთა რუსთველისა და პუშკინისა, დანტესი და შექსპირისა, ბაირონისა და გეთეს პოეზიას უარყვოფთ, მაშინ ხო პირველ ყოფილს, ველურ მდგომარეობაში ჩავარდებით და არა თუ ყველა ზნეობრივი ღირებულება, არამედ მეტყველების უნარიც-კი დაგვეკარგება!

მეორე მხრით, თუ ძვალ მუზეუმებსა და წიგნსაცევეებსა სპოპო, ახლანდელი უნივერსიტეტები და ლაბარატორიებიც უნდა მოსპოთ, რათგან თითოული პროფესორი ავტორიტეტია, რომელიც ერთხელვე შემუშავებულ ტრადიციას იცავს, და თითოული წიგნი წარსული შემოქმედების ნაყოფია. მაშ, ასე: მოვს პოთ ყველა უნივერსიტეტი და წიგნსაცავი! მარა თითოული ქარხანაც, რომელიც „შვენიერ“ ავტომობილებს ამზადებს, ხო ტრადიციულ საწარმოო წესს ემორჩილება! მაშ, ფუტური-სტული ლოდიკით ქარხნებსაც კი ცეცხლი უნდა წავუკიდოთ. მარა ვინღა მოამზადოს მაშინ ავტომობილები?!

და ეს ულოლიკობა, უეკველია, თანამედროვე კომივიოიაცერის ფსიქოლოგიის დამახასიათებელია, რათგან მას არა სცალია არც წიგნების წასაკითხავათ, არც სამეცნიერო კვლევა-

ძიებისთვის და მუდმივ მოძრაობასა და ფაქ-  
ფუტშია.

რაც შეეხება ანარქისტული ნგრევისა და  
აჯანყების ქადაგებას, ფუტურისტებს ვერ შეუგ-  
ძნიათ ის უბრალო კეშმარიტება, რომ ნგრევა—  
შენების შედეგია. მაგალითად, ცხოველში მუდამ  
წარმოიშობს ნგრევა. მარა მიტო, რომ მას ამშენ-  
ბლობითი, სინტეტიური პროცესი უძღვის წინ.  
თითოული უჯრედი საზრდოობს, იზდება, მრავ-  
ლობს, წარმოშობს თავისთვის საჭირო საზრდოს  
და თავისებურ პლანს. იმავე დროს, სიცოც-  
ხლე-ცოცხალი პლანსისა და საზღოს ნაწილო-  
ბრივი ნგრევაა. მეორე მხრით, ახალი უჯრედები-  
ძველი უჯრედის გამრავლების შედეგს წარმოა-  
დგენენ და ახალი პლანსის თვისებანი დედა-  
პლანსის თვისებათაგან გამომდინარობენ. და  
მემკვიდრობა-ერთერთი უმთავრესი ბიოლო-  
გიური კანონია.

ასეთივე ხასიათი აქვს მემკვიდრობას კულ-  
ტურის ისტორიაშიაც. და ლოზუნგი „ნგრევა-  
ნგრევისთვის“, ნგრევა და იმავე დროს მემკ-  
ვიდრობაზე დამყარებული ამშენებლობის უარ-  
ყოფა—ავათმყოფობაა.

ორმოცი წლისაზე უხნესი მოღვაწე უნდა  
მოკვდესო, გვეუბნებიან. მარა მაშინ ხო, სხუ-  
ათა შორის, აღარც პასტერისებური ცოფის-აცრა  
გვექნებოდა, აღარც ერლიხის საღვარსანი. რა-  
ღა ეშველებოდათ ფუტურისტებს!...

ჩვენ უნდა შევქნათ გმირებიო, გვეუბნებიან  
ფუტურისტი ქალები. აი, ჩემი პასუხი: ყოვლის  
უწინარესათ თქვენ უნდა შექნათ ტანთელი  
და მშრომელი თაობა. და თითოული ტანთე-  
ელი და მუშაკი, რომელსაც საკმაო სულიერი  
და ფიზიკური ენერჯია მოეპოვება, როდესაც-კი  
გარემოება მოთხოვს, გმირობას ჩაიდენს-

ლევ ტოლსტოი, რომელსაც შესანიშნავი  
დაკვირვების ნიჭი ქონდა, ზოგიერთ თავის თხზუ-  
ლებაში მოგვითხრობს, რომ, ასე წოდებული,  
„დემონიური“, „სატანისებური“ მეომრები,

რომელთაც პატარაობიდანვე სამამაკო ზნით  
ასწავლიდნენ, რომში ხშირათ ირცხვენენ ხოლმე  
თავს, უბრალო მიწის მუშა-კი, რომელიც  
სიყრმიდან მხოლოათ გუთანს ვკიდა, აუჩქარე-  
ბლათ, აუხმაურებლათ, ჩუმათ და შეუმჩნეველათ  
ჩადის გმირობასო.

და, თქვენ ვერ აღზდით გმირებს, რათგან  
სულითა და სხეულით ავათმყოფნი ხართ. სხუა  
არა იყოს რა, შვილებს ძუძუს ვერ აწოვებთ,  
რათგან, სისხლნაკლებობისა და ნევრასთენის  
გამო, შიგ რძე არ ჩავიდგებთ!

თქვენა გძულთ სოფელი. მარა უმადურები  
ხართ. ქალაქი რომ სოფლებიდან არ ივსებო-  
დეს, მოქალაქეთა რიცხვი თანდათან შემცირ-  
დებოდა და, ბოლოს, არარათ გადიქეთოდა;  
მოქალაქენი გადაშენების გზას ადვიან.

თქვენ არ გწამთ ღრმა სიყვარული ქალსა  
და კაცს შორის...ერთი მხრით, მართალი ხართ,  
რათგან, გარყენილთ და გადაგვარებულთ არ  
შეუძლიათ შეიყვარონ ძლიერ. მარა ეს ანორ-  
მალური, ავათმყოფური სოციალური მოვლინე-  
ბაა. მარა ისეთი პირობები უნდა შევქნათ, რომე-  
ლნიც გამანადგურებელი გარყენილებისგან უზრ-  
უნველყოფენ ხალხის უპირველესათ ტანთე-  
ლობას.

გავიმეორებ: ფუტურიზმი—ცალმხრივი, საზ-  
ოგადოების გამრყენელი და გამანადგურებელი  
უტოპია არი, რომელიც სრულიათ არ შეეფე-  
რება და არ შეესაბამება თანამედროვე მეცნიე-  
რების პრინციპებს.

ვასილ წერეთელი.



წერილი წყდაქციის მიძარბთ

ბატონო რედაქტორო! „ცხოვრების“ მე-  
ოთხე №-ში, დაბეჭდილია ბატ. ლ. ბახტაძის სტა-  
ტია „ილია ლუკას ძე ბახტაძე (ილ. ხონელი),



მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. ავტორი, სხვა-თა შორის, მოგვითხრობს, თუ როგორ გადავიდა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ 1891 წ. ჩემი და ჩემი ძმების ხელში.

ერთ ადგილას ბ. ლ. ბახტაძე წერს:

„მან (ილ. ხონელია), რასაკვირველია, მაშინვე მიატოვა რედაქცია. მის მაგალითს სხვა თანამშრომლებიც მიყვნენ, რათგან თუმანოვის მიმართულება, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლისა, მათ რწმენას ეწინააღმდეგებოდა

ეს სრულებით ასე არ იყო. არც ერთ უმთავრეს თანამშრომელს „ნოვოე ობოზრენიისა“ გარდა ილ. ხონელის, არ დაუტოვებია რედაქცია, როცა ეს გაზეთი გადმოვიდა ახალ რედაქციის ხელში. განსვენებულ, ილ ხონელის გარდა, რედაქციას ჩამოეცალა მხოლოდ ერთი კორექტორი, რომელიც ოფიციალურათ რედაქტორის სახელს ატარებდა. მარა იგი არასდროს არაფერს წერდა, და კიდევ ერთი რეპორტიორი. ხსენებულ სტატიაში კიდევ რამდენიმე ფაქტური შეცდომა შევნიშნე. მარა ამათ აქ არ ვეხები.

გ. თუმანიშვილი.

თფილისი. 26 ფებ. 1916 წ.

**უპატრონო აჭარა.**

ამ სათაურით „პეტ. ველ.“-ში ნუმერში მითავსებულია „სტორონის“ წერილი.

„აჭარას ბედში“ ჩვენ აღვნიშნეთ უსაფუძველობა აჭარლების სახელ. დალატის ბრალდების შესახებ. ავტორი შემდეგ ავვიწერს, თუ საიდან შეიქმნა ასეთი ვერსია, რო რამდენიმე ყაჩაღი, საეკვო პირების მოქმედების და მოხსენების საფუძველზე დაიბადა აჭარლების დევნის სურვილი.

„აჭარლებს რო მართლა ნდომოდათ

ოსმალეთისკენ გადასვლა, ამას თავის დროზე მოახერხებდენ. მოახერხებდენ თავის უზუნ-ნეელყოფლობის გარანტიას. მარა აჭარლები მიიწევდენ არა ოსმალეთისა, არამედ ნათესავ ქართველებისკენ. ამიტომაც, ისინი მშვიდათ რჩებოდენ თავიანთ ადგილებზე და დალატზე არც-კი ფიქრობდენ.

მარა, როცა უბედურება დატრიალდა, მეზობელ საზოგადოების ნაძირალებმა წამოყვეს თავი და მოინდომეს თავისიძველის სიძულვილის და ანგარიშის მიხედვით, მათი ამოწყლტა. აჭარ-ლები, რომელნიც სრულიად უპატრონოთ იყვენ მიტოვებული, იძულებულნი შეიქმნენ მიეტოვებიათ თვისი კეკლუცი სამშობლო და გაქცეულიყვენ.

როგორ მოხდა ეს, — კითხულობს ავტორი, როგორ იყვენ ღვთის ანაბარათ მიტოვებულნი, მეზობელების საღრღნელათ, მამაც და რაინდ ქართველების ნათესავი ხალხი? როგორ მოხდა, რო თვისი მხარის ბატონ-პატრონი მამადიანი ქართველები დღეს შეშინებულნი ბრუნდებიან, ხან-კი მათსოვრათ, თავისივე ნაყოფიერ კუთხეში? ვინ მისცა ნება აწიოკების, ცეცხლის, ცარცვა-გლეჯის, განადგურების? როგორ მოითმინეს ვავლენიანმა ქართველებმა თვისი სისხლ ორცის ასეთი უბედურება? ნუთუ არც ქუთაისში არც თფილისში არ აღმოჩნდა ისეთი ვინმე, რო ხმამაღლა ეთქვა სიმართლე, თანაგძნობა — იმდენი მინც, რამდენიც შეუძლია მიიღოს შეგობარმა, თუ არა მტერმა?

ამსაკითხებზე მძიმე ამოხსნით უნდა გავცეთ პასუხი. სამწუხაროა ამბობს წერილის ავტორი, — რო ქართველების ორგანოებმა არ აიმაღლეს ხმა, როცა მათ შეეძლოთ შეფის წინაშეც-კი შეამდგომლობის აღძვრა. შემდეგ,

ავტორი წერს ქართ. თავად-აზნაურობაზე, რომელიც ჩვენში ერობის მაგიერობას ასრულებს ხშირათ. აღნიშნავს იმ გარემობას, რომათ ადვილათ შეეძლოთ მულამ მთელათ მათ თავისთავზე, ტახტის წინაშე, აქარლების დაცვა.

„რა ქნა ამ თავად-აზნაურობამ? სრულიად არაფერი. რატომ ერთი მანათიცი არ იშოვა მან აქარლებისთვის, მაშინ, როცა ეორონ-ცოვის დროს ასი ათასობით ახარჯებოდა გადმოხვეწილ სომხობისთვის? მხოლოთ ახალ მეფისნაცვლის მოსვლის შემდეგ, შეიქნა შესაძლებელი აქარლების ფართე დახმარება. ისიც საკითხია, რამ გამოიწვია ეს დახმარება. თავად-აზნაურობის შეამდგომლობამ, თუ მეფისნაცვლის ნათელმა შეგნებამ. რაკი თავად-აზნაურობამ უბედურება ვერ ააცილა აქარლებს, იქნებ, ხელი შეუწყო გაეფანტათ ის ბურუსი, რომელიც აქარელთა ღალატის ხმამ შექნა? არც ეს მოხდა. თავად-აზნაურობის სირცხვილათ ისიც კმარა, რომ ეს სოც.-დემ. ჩხენკელმა ქნა.

რადესაც მეფე, ერთათერთი შემნახველი და მზრუნველი ხალხის ბედზე, თფილისში ბძანდებოდა, თფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა აბხაზმა, ვერ მოახერხა თავის სიტყვაში აქარლების შესახებ ეთქვა რამე. ამევე დროს ხატისოვმა თავის სიტყვაში სომხების გაქვივრების შესახებ ბევრი რამთქვა რა სამწუხარო განსხვავებაა შდგომარეობის შეგნებაში?

თფილისის წინამძღოლი თ-დ აფხაზი და ქუთაისის თ-დ ნიჯარაძე დღეს ორივე მეფისნაცვალათნ სამსახურში არიან დანიშნული. ისინი ახალ თანამდებობაზე მძიმე სამსახურს ასრულებენ და თავიანთ წინამძღოლის საქმეებთან არ აქვს საქმე. ცხადია, დროებით მათ უნ-

და თქვან უარი თავის თანამდებობაზე. ამისინი აჩვენებენ ყველას, რა უნდა გააკეთოს ყოველმა აზნაურმა. მათ მაგიერ, ისინი ამოარჩევენ უფრო თავისუფალ პირებს, რომელნიც მიხედვენ აქარის გასაქირს.

„სტარონი“.

P .S. ჯაფაროვმა სათათბიროში მოიტანა მაგალითები ყარსის და აქარის მამადიანთა აწიოკების შესახებ. გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. ძლიერ სამწუხაროა, რთ დეპუტატმა არ დაასახელა დამნაშავენი.

„სტ.“

## რედაქციისგან.

„ცხოვრების“ რედაქცია პატივისცემით მოაგონებს ქუთათურ ხელის მომწერლებს, კეთილ ინებონ ფულის შემოტანა რედაქციის კანტორაში (ქარვასლის ქ., სტამბა „ძმობა“, ჩარეკოვის სახლი) და ძმური დახმარება გაგვიწიონ, პირნათლად გაუუძღვეთ ჟურნალის გამოცემის საქმეს.

რედაქტორ-გამომკვემელი რომანოზ შანცხაშა.

ნებართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

# 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუზმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წელიწადი  
მართვა

## „თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამომცემისა მართვა  
1916 წელსაც გამოვა

წლიურად  
5 მან.  
ნახ. წლ.  
3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა ჟურნალში ხუთსამაგი სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით - 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს - 2 მ. მაისში - 2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახალს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მალათოვის კუჩხი. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9-2 ს. საღ. 5-7 ს. ფოსტით: Тифлитъ. ред. „Театри да Цховреба“ - Иос. Имедашвили.  
ტელეფონი № 15-41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ამერიკიდან ჟ. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

# „სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი - 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. ვთხოვთ წერილები და ფული გზავნათ შემდეგის ადრესით: ჟუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა. გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებაზე. ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. ი. ტინგაძე.